საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

სამშაბათი, 1 აგვისტო. 2017 წ. №154 (8291), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ყველა ნიჭზე ძლიერია ქვეყნის დაცვის ნიჭი!

„ღირსეულ პარტნიორში“ მონაწილე სტრაიკერების კოლონამ საქართველოში მარშირებით ჩამოიარა

„ღირსეული პარტნიორი 2017“-ში მონაწილე ამერიკულმა საბრძოლო ჯავშანმანქანის – „სტრაიკერი“ კონვოიმ საქართველოს ქალაქებში მარშირებით ჩაიარა. სენაკიდან ვაზიანის მიმართულებით გადაადგილებისას ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორის კოლონა ქუთაისის, ზესტაფონისა და ხაშურის ცენტრებში გაჩერდა, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა საქართველოსა და აშშ-ის სახელმწიფო დროშებით შეხვდა. მოქალაქეებს სამხედრო ტექნიკის დათვალიერებისა და სამახსოვრო ფოტოების გადაღების საშუალებაც მიეცა. „სტრაიკერების“ კონვოიმ გორისა და თბილისის ქუჩებიც მოიცვა.

ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორის კოლონების მარშირება ვაზიანში, „ღირსეული პარტნიორის“ სწავლების არეალში დასრულდა და დღეიდან უშუალოდ წვრთნებში ჩაერთვება.

ამერიკული საბრძოლო ჯავშანმანქანა „სტრაიკერი“ „ღირსეულ პარტნიორში“ პირველად მონაწილეობს. ასევე, პირველად განხორციელდა სწავლებაში მონაწილე ამერიკული სამხედრო ტექნიკის გადაადგილება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით – ფოთის პორტიდან ვაზიანში.

მრავალეროვნულ სწავლებას „ღირსეული პარტნიორი 2017“ საქართველო წელს უკვე მესამედ მასპინძლობს. ამჯერად სწავლება კიდევ უფრო ფართომასშტაბიანია და მასში ნატოს წევრი და პარტნიორი 8 ქვეყანა იღებს მონაწილეობას: საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, სლოვენია, სომხეთი და უკრაინა.

„ღირსეული პარტნიორი 2017“ აშშ-ის ევროპული სარდლობის შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე სწავლებების ციკლის ნაწილია, რომელიც 7 ქვეყნის ტერიტორიაზე ტარდება. ამჟამად მიმდინარეობს საერთაშორისო სწავლებები „SABER GUARDIAN 2017“ ბულგარეთში, რუმინეთსა და უნგრეთში, ხოლო „SEE BREEZE“ – უკრაინაში. სწავლებებში სულ 50 000 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს, სადაც საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ერთი ქვეითი ასეულის და ერთი ოცეულის შემადგენლობითაა ჩართული. ამ სწავლებების გაგრძელებაა „NOBLE PARTNER 2017“.

„ღირსეული პარტნიორი 2017“ ემსახურება სტაბილურობის, თავდაცვით და შეტევით ოპერაციებში უნარჩვევების გაუმჯობესებას, ასევე აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საქართველოს და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებას, ნატოს რეაგირების ძალების (NRF) საბრძოლო შესაძლებლობების გაზრდას და NRF-ში მონაწილე დანაყოფებს შორის ურთიერთთავსებადობის გაღრმავებას.

იხ. 2 გვ.

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი საქართველოშია

აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი თბილისს მეუღლესთან ერთად ეწვია. თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დახვედრის ოფიციალური ცერემონია გაიმართა. მაიკ პენსს და მის მეუღლეს აეროპორტში საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მეუღლესთან ერთად დახვდა. გუშინვე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აშშ-ისვიცე-პრეზიდენტს, მის მეუღლესა და დელეგაციას ოფიციალურ ვახშამზე უმასპინძლა.

დღეს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართება პრემიერ-მინისტრისა და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის შეხვედრა, რის შემდეგაც, პრესისთვის ერთობლივი განცხადებები გაკეთდება. დღესვე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი სწავლება „ღირსეული პარტნიორის“ მონაწილე სამხედროებს შეხვდება. ასევე იგეგმება მისი შეხვედრა ოპოზიციის წარმომადგენლებთან.

სააკაშვილი – უსამშობლო, უპასპორტო პოლიტიკური თაღლითი

3

ეროვნული

4 როცა უცოდინარობა მტრობის ბადალია

კავკასიური წრე შიროკორადულად

ხალხი რას არ იტყვის...

- თუ არჩევანი არა გაქვთ, მაშასადამე, ვიღაცამ დაგასწროთ და თქვენ მაგივრად აირჩია;
- თუ გამონაკლისი წესს ადასტურებს, მაშასადამე, ავადმყოფობა ჯანმრთელობის დასტურია;
- თუ ბრიყვისთვის ყველაფერი გასაგებია, აუცილებლად უბედურებას რასმე ელოდე;
- ბავშვობა მაშინ მთავრდება, როცა შეკითხვას „რატომ?“ ცვლის კითხვა „რა ღირს?“
- ბულვარული რომანი ლიტერატურული ყალბი ფულისმჭრელობაა;
- ორსახოვან კაცს სახის დაკარგვის შიში არა აქვს;
- ერთ ადგილას შეტენილი პირადი აზრი იგივე შენი შინაგანი ხმაა;
- დრო გვხოცავს ჩვენ, ჩვენ ვკლავთ დროს... როდისღა მოხდება ჩვენი დაზავება?
- არის წამიერება წარსულსა და მომავალს შორის, სწორედ ამას ჰქვია სიცოცხლე.

ცხოვრების მხატვარი

რა დაუწერა ვახუშტი კოტეტიშვილმა კარლო ფაჩულიას?

9



ჩვენ ერთიანად გვიჭირავს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, გლობალური სტაბილურობის დროშა!

საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდალმა გიორგი მარგველაშვილმა ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე მრავალეროვნული სწავლების „ღირსეული პარტნიორი 2017“-ის გახსნის ოფიციალურ ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

მოწვეულმა სტუმრებმა და სწავლებაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საბრძოლო მოქმედებებსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას, რის შემდეგაც სწავლებაში მონაწილე სამხედროებს საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდალმა და პრეზიდენტმა სიტყვით მიმართა.

„მე ვერ აღვწერდი უფრო სწორად ჩვენ ერთობლივ წვრთნას, ვიდრე აღწერს ეს სახელი — „ღირსეული პარტნიორი“, იმიტომ რომ ჩვენ ერთმანეთის ღირსეული თანამებრძოლები ვართ და ერთიანად გვიჭირავს თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების გლობალური სტაბილურობის დროშა.

მივესალმები სწავლებაში მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენელს. განსაკუთრებით მივესალმები ჩვენს ამერიკელ თანამებრძოლებს, რომლებთან ერთადაც ქართველი ჯარისკაცები იცავენ სტაბილურობას ავღანეთში.

მეგობრებო, თქვენი თანამებრძოლები თავის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს სწირავენ უმთავრეს მიზანს — ჩვენი საზოგადოებების დაცულობას, ჩვენი საზღვრების შეულახაობას, ჩვენს სიმშვიდეს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ქართველი ხალხისა და სწავლებაში მონაწილე ქვეყნების მოსახლეობის სახელით მადლობა გადაუხადა თითოეულ ჯარისკაცს ამ სამსახურისთვის.

გიორგი მარგველაშვილი „ღირსეული პარტნიორის“ გახსნის ცერემონიაში პრემიერ-მინისტრთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანთან, თავდაცვის მინისტრთან, გენერალური შტაბის უფროსთან, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა. სწავლება ფართომასშტაბიანია და მასში ნატო-ს წევრი და პარტნიორი 8 ქვეყანა იღებს მონაწილეობას: საქართველო, აშშ, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, თურქეთი, სლოვენია, სომხეთი და უკრაინა. სწავლების აქტიური ფაზა 12 აგვისტოს, ვაზიანის მე-11 სასროლეთზე საჩვენებელი წვრთნით დასრულდება.

მრავალეროვნული სწავლების მონაწილეებს!

ნატოს წევრი და პარტნიორი 8 ქვეყნის 2800-ზე მეტი სამხედრო თბილისში იმყოფება. გზავნილით — ძალა პარტნიორობაშია, საქართველო უკვე მესამედ, მრავალეროვნულ სწავლებას — „ღირსეული პარტნიორი 2017“ მასპინძლობს.

ფართომასშტაბიანი სწავლების გახსნის ოფიციალურ ცერემონიას ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი დაესწრო.

პრემიერის შეფასებით, ძალიან საამაყოა, რომ საერთაშორისო სწავლება „ღირსეული პარტნიორის“ სახელს ატარებს, რაც უკავშირდება ქართველი ჯარისკაცების თავდადებულ ბრძოლას მსოფლიოში მშვიდობისთვის.

„სწორედ ჩვენი ჯარისკაცების ერთგული სამსახურის და საერთაშორისო უსაფრთხოებაში შეტანილი წვლილისთვის მიიჩნევს დღეს ჩვენს ქვეყანას ღირსეულ პარტნიორად ყველა ჩვენი პარტნიორი. საქართველოში უკვე მესამედ ტარდება სწავლება „ღირსეული პარტნიორი“ და მისასალმებელია, რომ ამჯერად ეს სწავლება კიდევ უფრო კომპლექსური და დინამიკური იქნება. დარწმუნებული ვარ, ეს სწავლება ჩვენი ჯარისთვის მეტი პროფესიონალიზმის, მეტი სიმტკიცის, მეტი საბრძოლო მზადყოფნის და სტრატეგიულ და საერთაშორისო პარტნიორებთან მეტი თავსებადობის მომტანი იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნისთვის ეს იქნება მეტი მშვიდობის, მეტი უსაფრთხოების და მეტი სტაბილურობის გარანტი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, საქართველოსთვის და მთლიანად რეგიონისთვის უმნიშვნელოვანესია მსგავსი საერთაშორისო სწავლებები, რომლებიც თანამშრომლობის გაღრმავებისა და შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაზრდასთან ერთად კიდევ უფრო გვაახლოებს ნატოს სტანდარტებთან.

მთავრობის მეთაურის შეფასებით, მისასალმებელია, რომ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სწავლების მონაწილე ქვეყნების რაოდენობა და საქართველოსთან, აშშ-სთან და დიდ ბრიტანეთთან ერთად მასში ჩართული არიან გერმანია, თურქეთი, სლოვენია, უკრაინა და სომხეთი. ამასთან, გერმანია სამხედრო ტექნიკით წელს პირველად ჩაერთო სწავლებაში.

პრემიერმა საქართველოს მიერ სხვა დემოკრატიულ ქვეყნებთან ერთად საერთო ევროატლანტიკური უსაფრთხოებისა და მშვიდობის საქმეში შეტანილ ღირსეულ წვლილზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ყველაზე დიდი არაწევრი კონტრიბუტორი სახელმწიფოა ავღანეთში, სადაც 870-კაციანი კონტინგენტით არის წარმოდგენილი.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, ჩვენმა სამხედროებმა არაერთხელ დამტკიცეს, რომ საქართველო არის სანდო და ღირსეული პარტნიორი, რომლის ნდობაც ნებისმიერი გამოწვევის დროს შეიძლება. გიორგი კვირიკაშვილმა კიდევ ერთხელ მადლიერება გამოხატა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მოყოლებული ზრუნავს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზე. პრემიერის შეფასებით, ამის დადასტურებაა სწავლება „ღირსეული პარტნიორიც“, რომელიც მთლიანად ამერიკული მხარის დაფინანსებულია.

„ღირსეული პარტნიორის“ გახსნის ცერემონიის შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა სამხედრო ტექნიკა დაათვალიერა. სტუმრებმა და ღონისძიებაში მონაწილე პირადმა შემადგენლობამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საბრძოლო მოქმედებებსა და საერთაშორისო მისიებში დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ხსოვნას. ცერემონიას საქართველოს პრეზიდენტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და სტუდენტები დაესწრნენ.

ამერიკული კომპანიების დაინტერესება საქართველოთი იზრდება!

მისასალმებელია, რომ ამერიკული კომპანიების დაინტერესება საქართველოთი და მიმდინარე რეგიონალური მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტებით გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, სადაც ყურადღება ქვეყანაში ამერიკის ვიცე-პრეზიდენტის მაიკ პენსის ოფიციალურ ვიზიტზე გაამახვილა.

მისი თქმით, ამერიკასთან ორმხრივ ურთიერთობებში 2017 წელი გარკვეულ ისტორიულ ეტაპს წარმოადგენს, რადგან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წელია.

„მისასალმებელია, რომ ამერიკული კომპანიების დაინტერესება საქართველოთი და მიმდინარე რეგიონალური მასშტაბის ინფრასტრუქტურული პროექტებით იზრდება. ამერიკა საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს ინვესტორს წარმოადგენს. ამერიკასთან ორმხრივ ურთიერთობებში 2017 წელი გარკვეულ ისტორიულ ეტაპს წარმოადგენს, რადგან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 25 წელია. ჩვენ ერთად მრავალ წარმატებას მივაღწიეთ, თუმცა სამომავლოდ, გაცილებით ამბიციური გეგმები გვაქვს, რათა ყველა მიმართულებით ჩვენი პარტნიორობა კიდევ უფრო გავაღრმავოთ და კონკრეტული ხელშესახებ შედეგებს მივაღწიოთ. საქართველოში ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტისას მსჯელობა სწორედ შემდეგი ეტაპისა და მომავალი ერთობლივი ნაბიჯების შესახებ იქნება“, — აღნიშნა ჯანელიძემ.

თბილისში ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ხანა დიდი ხანია, დასრულდა

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თბილისის მერობის კანდიდატი კახა კალაძე თავის მორიგ ვიდეომიმართვას ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ე.წ „ხრუშჩოვკების“ ეტაპობრივი ჩანაცვლების შესახებ თავის გუნდთან ერთად კონკრეტული პროექტი აქვს მომზადებული.

„უახლოეს მომავალში ვგეგმავ, წარმოვადგინო ჩემი პროგრამული ხედვები. მანამდე მსურს, ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის დაანონსება. თბილისში ე.წ. „ხრუშჩოვკების“ ხანა დიდი ხანია, დასრულდა. არ შეიძლება ადამიანები ცხოვრობდნენ ისეთ შენობებში, რომლებსაც უკვე კარგა ხანია გაუვიდა ექსპლუატაციის ვადა, არის ამორტიზირებული და მიშენება-დაშენებებით კიდევ უფრო ავარიული და უსახური.

ჩვენ გვაქვს მომზადებული ძალიან საინტერესო პროექტი „ხრუშჩოვკების“ ეტაპობრივი ჩანაცვლების შესახებ, რასაც უახლოეს მომავალში წარვუდგენთ დედაქალაქის მოსახლეობას. ამ საბჭოთა იდეოლოგიის გადმონაშთებისგან თბილისის გათავისუფლება და მათი ჩანაცვლება მყარი, კომფორტული საცხოვრისით ჩვენი გუნდის ერთ-ერთი მიმართულება იქნება. ის მოქალაქეები, რომლებიც ცხოვრობენ „ხრუშჩოვკის“ ტიპის ბინებში, ჩანაცვლების პროცესში უზრუნველყოფილნი იქნებიან ბინით, ან შესაბამისი კომპენსაციით, საკუთარი არჩევანის მიხედვით. სიცოცხლით სავსე თითოეული უბანი, ეს არის თბილისის სახე და მისი მომავალი,“ — ნათქვამია განცხადებაში.

აშშ რუსეთთან იმაზე მეტად არ გააამწვავებს ურთიერთობას, რაც მას არ აწყობს

„ტრადიციად იქცა, რომ აშშ-ის საელჩო ასეთ შეხვედრებზე ეძახის მხოლოდ იმ პოლიტიკოსებს და იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც უსიტყვოდ ასრულებენ აშშ-ის მოთხოვნებს“, — ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ აშშ-ის ვიცე-პრემიერის მაიკ პენსის ვიზიტთან დაკავშირებით განაცხადა.

ბურჯანაძის თქმით, მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, რომ ის მაიკ პენსთან შეხვედრაზე მოლაპარაკების მაგიდაზე მიწვეული არ არის.

„მოლოდინი მაქვს, რომ კვლავ გაკეთდება განცხადებები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით, რაც თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ არაფრის მომცემი,“ — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და დასძინა, რომ ბურჯანაძის თქმით, აშშ რუსეთთან იმაზე მეტად არ გააამწვავებს ურთიერთობას, რაც მას არ აწყობს.

სააკაშვილი – უსამშობლო, უპასპორტო პოლიტიკური თაღლითი

ორი წლის წინ ხომ ვამბობდით, რომ უკრაინაში გადასროლილი ქართული „დესანტი“ ცუდად დაამთავრებს-მეთქი... ისე აგიხდათ ყოველივე, რაც სრულად და მთლიანად ახდა ეს „ურთულესი“ პროგნოზი. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ დრო წავიდა.

ჰოდა, პოლიტიკაში სახიფათო კი არის პროგნოზირება, მაგრამ გავბედავ და ვივარაუდებ: დღესავით ნათელია ის, რომ ჯერჯერობით „უსამშობლოდ“ და „უპასპორტოდ“ დატოვებული და „მეორე წრეზე“ გადასროლილი სააკაშვილი ასე მარტივად არ დატოვებს სცენას და, როგორც მინიმუმი, გადაიყოლებს თუ პრეზიდენტს არა, უკრაინის ხელისუფლების კაი ვეებერთელა ნაწილს... იქ „პროცესი“ დაიძრა და ენის შეუკავებლობის უკონტროლოდ განვითარებულმა ინფექციამ უკვე გადმოხეთქა და ბევრი დაასნებოვნა, რამეთუ ეს სენი მარტო ოდესის ექსგუბერნატორს არ ჭირს... აგერ ნახავთ, კიდევ რამდენი ვინმე ალაპარაკდება და სისხლს გაუშრობს პოროშენკოს, ავაქოვს, რაც, ვიმეორებ, მშვიდობიანად არც ერთ შემთხვევაში არ დამთავრდება. ოლიგარქი კოლომოისკი, მიშას დაუძინებელი მტერიც კი პოროშენკოს უკიჟინებს იმ შეცდომაზე, რაც, მისი აზრით, სააკაშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორმევით ჩაიდინა. ბრძოლაში ჩაერთო ახმეტოვიც, უკრაინის ყველაზე მდიდარი კაცი, რომელიც, სააკაშვილის აზრით, პოროშენკოს „მართავს“.

ამ ბრძოლა-პროცესს სავარაუდო „ფინალის“ ვადაც (საარჩევნოდ) კი ცნობილი იყო, მაგრამ ვითარება ერთობ გამწვავდა და ნასკვის გახსნა დაჩქარდა სააკაშვილის უკრაინიდან გაძევებისთანავე...

მე ახლა სხვა რამ მაფიქრებს:

ცოტა არ იყოს, გაუგებარია ის სიხარულის ელფერის მატარებელი აჟიოტაჟი, რაც ატყდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სცენაზე, ვითომდა, საქართველოში სააკაშვილის მოსალოდნელი იძულებითი „ჩამობრძანების“ თაობაზე. კიდევ უფრო გვაოცებს ამ მხრივ მმართველ ელიტასა და მასთან დაახლოებულ წრეებში (მედია, ექსპერტები, არასამთავრობო სექტორი) მავანის აქტიურობა და რიტორიკა, რაც გვიბიძგებს რამდენიმედან ერთი ასარჩევი დასკვნისკენ: თუ ვინმეს სააკაშვილის ექსტრადირების სურვილი აქვს, ითხოვს ამას ან მოუწოდებს, იბრძოლონ ამისთვის, ის, უბრალოდ, ან მიამიტია, ან – ერთობ გამოუცდელი, ან – აბსოლუტურად არაინფირმირებული და უცოდინარი, ან – პოლიტიკურად „ბეცი“! იარლიყი ასარჩევადაა და დაკონკრეტება გემოვნების სფეროდანაა!

შევარდნაძის – პოლიტიკური კონიუნქტურის ამ გროსმაისტერის „გამოცდილებიდან“ მაინც ესწავლათ რამე? მაგალითად, რა ოსტატურად იყენებდა იგი შიდა პოლიტიკურ პრაქტიკაში ე.წ. „რუსეთუმე-საფრთხობელას“ – დევნილ იგორ გიორგაძეს. ტერაქტში „ეჭვმიტანილი“ უშიშროების ყოფილი მინისტრი არაერთგზის იყო მზად ჩამოსასვლელად და დამოუკიდებელ-ობიექტური სასამართლოს წინაშე წარსადგენად, მაგრამ ვინ ჩამოუშვა? სამაგიეროდ, დღე არ გასულა ამ 22 წლის მანძილზე, ქართველი საზოგადოებრიობა არ დაეშინებინათ „თეთრ ცხენზე ამხედრებული“ იგორის (ანუ, რუსეთის) დაბრუნების პერსპექტივით.

ახლა სხვა დროა. რეალურად! სააკაშვილთან შედარებით გიორგაძის პოპულარობა ისევე განსხვავდება როგორც ცა და დედამიწა, გაკეთებული საქმეები იქნება თუ პოლიტიკური იმიჯი. ბოლო არჩევნების შედეგებმა ეს სხვაობა ხილულ ფაქტად აქციეს.

ამიტომ, მეტისმეტად სერიოზული დაფიქრება მართებს ვისაც ჯერ არს იმ თემაზე, ღირს თუ არა ბრძოლა ექსპრეზიდენტ-ექსგუბერნატორის ექსტრადირებისთვის. ჯერ ერთი, პოლიტიკური კონიუნქტურა, პოლიტიკური ეთიკა (რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს ეს), ჩემი აზრით, გამორიცხავს ამ მხრივ დასავლეთის სახელმწიფოების ნეიტრალიტეტს, ისევე, როგორც მიშას საწინააღმდეგო რაიმე მონდომებას, აქტიურობას. აგერ, ლიტვამ მას უკვე მოქალაქეობაც შესთავაზა. ბევრმა ლიდერმა დაგმო კიდეც პოროშენკოს გადაწყვეტილება. მაგრამ, დავუშვათ, იქაც „გარეკეს“ და „მწვანე შუქი“ აუნთეს ექსტრადირების პრობლემის გადაწყვეტას. პერსპექტივა?

ჩემს მტერს ის, რაც მოხდება საქართველოში ექსპრეზიდენტის ნებისმიერი სახით (ექსტრადირებული, გასამართლებული, ციხეში მყოფი...) დაბრუნება – ყოფნასთან დაკავშირებით. ის თავისუფლად მოხეტიალე-მოლაყბე-მოლაპარაკე კი არა, ციხეში იზოლირებული უფრო საშიშია, არა მარტო მხარდამჭერ მომხრეთა საკმაოდ სოლიდური რაოდენობით, არამედ მისი უსაზღვრო ენერგიით, ავადმყოფური და დაუნდობელი ფანტაზიით, „პიარ-ნიჭიერებით“, პოლიტიკური დემაგოგიით და უტიფრობით. სააკაშვილი არც ვანოა, არც გიგი, არც ბაჩო. იგი უფრო მეტია, ვიდრე ისინი ერთად აღებული, მათზე დამატებული, თუნდაც, ათობით „მეწვრილმანე“ პატიმრით ე.წ. 9-წლიანი „ეპოქის“ დანაშაულისთვის რომ იხდის სასჯელს. იდეური, ანუ ავადმყოფურად შეყვარებული „მიშისტებისთვის“ (ეს ფენა ერთობ ნაცნობი და უნივერსალურია ჩვენი უახლესი ისტორიიდან) არც ის არის „დანაკლისი“, ანგარიშგასაწევი და „ჭეშმარიტი“, რაც ნაცმოს რიგებს ჩამოშორდა (მოისყიდეს, გადაიბირეს, ულალატეს) „გირჩების“ (ზ. ჯაფარიძე და კომპანია), „ახალი ევროპელების“ (გ.ბოკერია და სხვანი), პოროშენკოს ღიმილისმომგვრელი მრჩეველი ვაშაძის და მისნაირი გაუგებრობების სახით.

სააკაშვილის და მისი მრევლის დაოკებლად, „გასაბითურებლად“, გასანეიტრალებლად არა და ვერ გამოდგება ის „საქმეები“, რომელიც ნებსით(!) თუ უნებლიეთ(!), კატასტროფულად ჩააფლავა იმ „სასაცილო“ სტრუქტურამ, რომელიც, ალბათ, დაკომპლექტებულია ან „საბავშვო ბაღის აღსაზრდელებით“, ან, რომელიღაც დაუსწრებელი იურიდიული შპს-სასწავლებლის ბედოვლათი მსმენელებით, „სტაჟირება“ (ანუ, ფულის „კეთების“ კურსი) რომ კეზერაშვილის საფინანსო პოლიციაში გაიარეს, ან, „ბოტასების ქურდობაში“ დაოსტატებული ხელმრუდი ბიჭებით, რომლებსაც ევროპულ ციხეში პატიმრობა, დადებით პროფესიულ-იურიდიულ პრაქტიკად ჩაუთვალეს წინა და ახლანდელი ხელისუფლების ნამეტნავად ჭკვიანმა „კადროვიკებმა“.

„კოსტიუმების“, სოფო ნიჟარაძის, ვიღაც მკბენარა მასაჟისტის თუ ქსიუშა სობჩაკებისნაირი ლოთბაზარა მეხოტბეებისთვის მირთმეული საჩუქრების გამო „აღძრულ“ - გახმაურებული საქმეები კი ანეკდოტების და „საღადაო“ თემებად გადაიქცა. აღარ მუშაობს არც „ცოცხები“, აღარც „კასრები“, აღარც „ფარული კადრები“, რამეთუ მარტო უნიჭოდ კი არა, იდიოტურადაც გაცვითეს და გააშარჟეს ეს უბედურება.

ერთადერთი გზა, რაც გაანეიტრალებს ამ სიტუაციას, ჩემი და ჩემნაირი გულწრფელი გულშემატკივრების აზრით, არის გზა საქვეყნო, სახელმწიფო საქმის კეთებისა და მისი თვალნათელი, ხელშესახები შედეგებისა!

ეს არის ხალხზე ზრუნვის, გადასახადების შემცირების, პენსიების გაზრდის, სამართლიანობის აღდგენის, უკანონოდ წართმეულის დაბრუნების, ადამიანებისთვის ღირსების დაბრუნება-აღდგენის გზა! სხვა, უბრალოდ, არ არსებობს!

და ამ გზაზე უნდა ვიაროთ კიდევ უფრო მეტი დაჟინებით, შეუპოვრობით, გულწრფელობით; ხალხთან დიალოგით, მისი აზრის მოსმენის სურვილით და გათვალისწინებით; სახელისუფლო ელიტების თინეიჯერული დაპირისპირების აღმოფხვრით, მეტი თავმდაბლური ცხოვრებით, სიყოყოჩის დათრგუნვით, სახელმწიფო აპარატის და მაღალჩინოსნების შემოსავლების მოსახლეობის რეალური მდგომარეობასთან შესაბამისობაში მიყვანით, დანამატებსა და პრემიებზე კატეგორიულად უარის თქმით და კიდევ ბევრი ისეთი რამის უარყოფით, რაც ყველაზე მეტად აღიზიანებს გაჭირვებულ მასას.

სახელმწიფო სტრუქტურების მაქსიმალური გამჭვირვალობით, რამეთუ მაინც არაფერი იმალება და ჯობს, თავად ვისაუბროთ პრობლემებზე, ავხსნათ მისი მიზეზები, ვთქვათ, რას ვაკეთებთ მათ გამოსასწორებლად, ვიდრე მივჩანჩალებდეთ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა კვალდაკვალ მათ მიერ დაწერილი „სცენარით“!

უარი უნდა ითქვას ე.წ. ორმაგ სტანდარტზე, წარსულის ლანძღვა-გინებაზე, უნდა გავთავისუფლდეთ სამარცხვინო მემკვიდრეობიდან არა ლაპარაკით, არამედ უკეთესი შედეგებით, განსაკუთრებით კი, კანონის წინაშე ყველას თანასწორობით, საზოგადოებრივი წესრიგის სფეროში პროფესიონალიზმით, კრიმინალთა უყოყმანო და დაუნდობელი ალაგმვით...

კოჰაბიტაცია არ ნიშნავს შეგუებას, კოჰაბიტაცია შეიძლება მხოლოდ იმათთან, ვისაც შენება უნდა, საქმის კეთება, უანგაროდ, კონიუნქტურის გარეშე.

მაშინ ვეღარავინ (მათ შორის საჯარო სამსახურში მყოფი ჩინოსანი, სამართალდამცველი-ტაბელური იარაღის მატარებელი თუ ოფიცერი, უმაღლესი სასწავლებლის ლექტორი თუ სკოლის მასწავლებელი) გაბედავს ღიად, საჯაროდ, სადღეგრძელოების შესმას იმ დღეების მოლოდინში, როცა მიშა ჩამოვა, ვანო გამოვა, ბაჩო აღსდგება და ... ამათ დედა ეტირებათ!



ნეტარ არიან მორწმუნენი!

ნუგზარ ფოფხაძე

ქართული ღვინო ჩინეთის 4 ქალაქში წარადგინეს

ქართული ღვინის სემინარი-დეგუსტაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის 4 ქალაქში გაიმართა – გვანჯოუ (Guangzhou), ჩუნშანი (Zhongshan), შენჩჟენი (Shenzhen) და ფოშანი (Foshan). ღონისძიებებს ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი, საერთაშორისო მარკეტინგული კომპანია „Meiburg Wine Media“-ს ხელმძღვანელი, ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი უძღვებოდა.

ჩინეთის სამხრეთში მდებარე პროვინცია გუანდუნის ზემოთ აღნიშნულ ქალაქებში ღვინის პროფესიონალებსა და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს 40-მდე დასახელების ქართული პრემიალური ღვინის დაგემოვნების შესაძლებლობა მიეცათ. ჩინეთის აღნიშნულ ნაწილში ქართული ღვინის ასე მასშტაბური წარდგენა პირველად მოეწყო და ღვინის ეროვნული სააგენტო ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით ამ მიმართულებით მუშაობას მომავალშიც გეგმავს.

დეგუსტაციებს სახელწოდებით „ქართული ღვინის გუანდუნის ტური“, ღვინის პროფესიონალებთან ერთად, ადგილობრივი დისტრიბუტორები და იმპორტიორებიც დაესწრნენ. წარმოდგენილმა ღვინოებმა სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა, რაც ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდისკენ გადადგმულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

როგორც ცნობილი ღვინის მაგისტრი დებრა მეიბურგი აღნიშნავს, საქართველო ჩინელ მომხმარებელს ქართული ღვინის დიდ მრავალფეროვნებას სთავაზობს და სხვადასხვა გემოვნების მქონე ჩინელ მომხმარებელს შესაძლებლობა ეძლევა ამ ნაირსახეობებიდან მისთვის სასურველი ღვინო შეარჩიოს. ჩინეთი რჩება ქართული ღვინის სტრატეგიულ საექსპორტო ბაზრად. 2017 წლის 6 თვის მონაცემებით, ექსპორტირებულია 3,84 მლნ ბოთლი, რაც 104%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულში ჩინეთი მეორე ადგილს იკავებს.

როცა უცოდინარობა მტრობის ბადალია

კავკასიური წრე შიროკორადულად

ამ ცოტა ხნის წინათ, მოსკოვის ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა ვინმე ალექსანდრე შიროკორადის წიგნი „ომი და მშვიდობა ამიერკავკასიაში უკანასკნელი 3000 წლის განმავლობაში“. როგორც წიგნის ანოტაცია გვამცნობს, ალექსანდრე შიროკორადი საქვეყნოდ ცნობილი ისტორიკოსია. სინამდვილეში იგი ყალთაბანდი და ზღაპრების მთხზველია, რომელიც მეცნიერული სინდისისგან მეტად შორს დგას.



ამიერკავკასიაში 3000 წლის განმავლობაში ომი და მშვიდობის პრობლემების განხილვაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან ამის შესახებ წიგნში არაფერია ნათქვამი, მაგრამ სამაგიეროდ ეს თითქმის 500-გვერდიანი წიგნი ძირითადად უკანასკნელ საუკუნესა და განსაკუთრებით 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში მიმდინარე პრობლემების უაღრესად ცალმხრივ და ტენდენციურ განხილვას ეძღვნება. რჩება შთაბეჭდილება, რომ წიგნი შეკვეთით არის დაწერილი და თანაც, უკანასკნელ პერიოდში საქართველოს შესახებ ძირითადად რუსეთში გამოცემულ, გამიზნულად გაყალბებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით. საერთოდ, ასეთი ავტორების წიგნების განხილვას ერიდებიან – პასუხის ღირსად არ თვლიან, მაგრამ იმდენად მომრავლდნენ დემაგოგები, რომ ამჯერად უმჯობესად მიგვაჩნია, არ გავიზიაროთ დიდი რუსი პოეტის ალექსანდრე პუშკინის სიბრძნე – **„სულელ კაცსა არასოდეს არ შეეჭიდო“, რაც ჯერ კიდევ ბევრად ადრე მეფე-პოეტ არჩილს აქვს ნათქვამი: „რას ვებრძოდი ჭკუათ მოკლეს?“**

ამ წიგნის განხილვა პრობლემების მიზანმიმართულად დამახინჯებისა და ისტორიული ფაქტების აბსოლუტურად უცოდინარობის გამოც ერთ საგაზეთო წერილში შეუძლებელია. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს გავაანალიზებთ, რაც მკითხველს სრულ წარმოდგენას შეუქმნის წიგნის ღირსების შესახებ და გამიზნულად ქართველთა დაკნინების მცდელობაზე.

წიგნის ერთ-ერთი თავის სათაურია **„თამარ მეფე და თბილისელი შულერები“** ამ თავში მრავალთა შორის ასეთ სისულელესაც ვხვდებით: **„ქართველი ტომების წარმოშობის შესახებ წერილობითი წყაროები არ არსებობს, მაგრამ ბევრი ისტორიკოსი თვლის, რომ ისინი გადმოსახლდნენ ამიერკავკასიაში მცირე აზიიდან ჩვენი წელთაღრიცხვის VIII საუკუნის შუა ხანებში“** (გვ. 20). ასეთ რამეს ქართველთმოძულე მეზღაპრეები **სომეხი ს. აივაზიანი** და **ოსი მ. ბლიევიც** არ კადრულობენ, თუმცა ამ უკანასკნელმა თავის წიგნში **„სამხრეთ ოსეთი“,** რომელიც ასევე მოსკოვშია გამოცემული, აღნიშნა: იბერიაში სამხრეთელი ოსები ბატონობდნენო. ახლა საკითხავი ის არის, რომ შიროკორადმა იქნებ არა თუ ბევრი, არამედ ერთი ისტორიკოსი მაინც დაგვისახელოს, რომელიც თვლის, რომ ქართველი ტომები მცირე აზიიდან ამიერკავკასიაში ჩვენი წელთაღრიცხვის მე-8 საუკუნის შუა ხანებში გადმოსახლდნენ. მეცნიერულ წიაღსვლებს რომ თავი დავანებოთ, ერთ მარტივ ფაქტს დავასახელებ, რათა ყოველივე უფრო ადვილი გასაგები გახდეს შიროკორადისთვის: მე-8 საუკუნის შუახანებამდე მე-5 საუკუნიდან მოყოლებული ქართველმა ხალხმა ქართულ ენაზე საქართველოში შექმნა უბრწყინვალესი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, ხოლო მე-8 საუკუნის ბოლოს ქართველი იოანე საბანისძე წერს უდიდესი ეროვნული გრძნობით გამსჭვალულ ნაწარმოებს გაქრისტიანებული არაბი აბოს წამების შესახებ.

მე-7 საუკუნის მე-2 ნახევრიდან საქართველოში მტკიცედ იკიდებენ ფეხს არაბები. მათი ბატონობის შედეგად ხალხი დაუძლურებული და დაჩაჩანაკებული იყო, იგი მტრის მძიმე უღელქვეშ გმინავდა. რეალური გახდა საკუთარი სახის დაკარგვისა და უცხო ხალხში გათქვეფის საფრთხე. მე-8 საუკუნის მოღვაწე იოანე საბანისძე გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ქართველები არაბთა **„შიშითა განილევიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“** და საქვეყნოდ კიცხავდა ასეთ გადაგვარების გზაზე დამდგარ ადამიანებს, მაგრამ მას მაინც ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ **„აღვერიენით ერსა უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესაგან... სარწმუნოებისა ჩვენისა მაგინებელთა“**. საბანისძეს სურდა გაემხნევებინა მერყევნი და სუსტნი, რათა ისინი **„ჩვეულებისაებრ მამულისა სვლის“ საქმეში ჩამდგარიყვნენ“**.

ახლა კი მინდა მივმართო ცნობილ ისტორიკოსს (როგორც წიგნის ანოტაციაში წერია: „Известный отечественный историк“) შიროკორადს: შეიძლება ვთქვათ, რომ ქართველები ამიერკავკასიაში, კერძოდ, საქართველოში მცირე აზიიდან გადმოსახლდნენ მე-8 საუკუნის შუა ხანებში? ვეჭვობ, რომ საკუთარ სინდისთან გარიგებული „ცნობილი ისტორიკოსი“ ობიექტური პასუხის გაცემას შეძლებს.

„ცნობილი მეცნიერი“ არ ცხრება და აგრძელებს: „თანამედროვე მეცნიერები ადასტურებენ სტრაბონის სიმართლეს. ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გარეშე) საერთო სახელწოდება „ქართველების“ ქვეშ გაერთიანებულია ოცზე მეტი სუბეთნოსი, ამასთან დასავლეთ საქართველოში მცხოვრები სვანები და მეგრელები იმდენად განსხვავდებიან ენისა და კულტურის მხრივ დანარჩენი ქართველი მოსახლეობისგან, რომ მართებული იქნება ისინი განვიხილოთ როგორც ცალკეული ხალხები“ (გვ. 20). უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ სუბეთნიკური ჯგუფები მეტ-ნაკლები ზომით ყველა ხალხშია. კაზაკებიც განსხვავდებიან გარკვეული ნიშნებით რუსებისგან. მათ თავის დროზე კავშირი გაწყვიტეს თავიანთ სოციალურ გარემოსთან და ცხოვრობდნენ რუსეთის სახელმწიფოს განაპირა მხარეებში. მათი რაოდენობის ცალკე აღრიცხვაც კი ხდებოდა. კერძოდ, 1916 წელს კაზაკი მოსახლეობა რუსეთში 4434 ათას კაცს უდრიდა. იშვიათ გამონაკლის შემთხვევაში მოსახლეობის აღწერის დროს კითხვაზე ეროვნების შესახებ შეიძლება ქართველმა მიუთითოს კიდეც, რომ ის არის მეგრელი, სვანი, აჭარელი, თუში, ფშავი, ხევსური და ა.შ. და ასეთი შემთხვევებიც იყო მოსახლეობის უკანასკნელი აღწერების დროს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მეგრელი ან თუში ქართველი არ არის. ასეთ ფაქტებს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხში ჰქონდა ადგილი. იმისათვის, რომ მოსახლეობის აღწერების დროს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ზუსტად განისაზღვროს, წინასწარ დგება და გამოიცემა ეროვნების თვითდასახელების ლექსიკონი და ძირითად ეროვნებას ენიჭება კოდი.

მაგალითად, ეროვნების შესახებ შეიძლება ქართველმა უპასუხოს, რომ ის არის ქართლელი, აჭარელი, გუდამაყრელი, გურული, ჯავახი, იმერელი, კახელი, ლეჩხუმელი, მესხი, მოხევე, მთიული, ფშავი, რაჭველი, თუში, ხევსური, ვრაცი, ინგილო, გურჯი, ლაზი, ჭანი, მეგრელი, მინგრელი, მარგალი, სვანი, წოვა-თუში, ბაცები. ქართველებს ბოლო და წინა აღწერებშიც მინიჭებული ჰქონდათ კოდი „6“ და ეს ციფრი ეწერებოდა ყველა ზემოთ აღნიშნული თითოეული ეროვნების თვითდასახელებას. შემდეგ ყველა ერთად იკრიბებოდა და ვგებულობდით, თუ რამდენი ქართველი ცხოვრობდა საქართველოში, რუსეთში, სომხეთში და ა.შ. მაგალითად, რუსეთის მოსახლეობის 2010 წლის აღწერის დროს 211 ქართველმა თქვა, რომ ის არის ეროვნებით აჭარელი, 98 – ინგილო, 160 – ლაზი, 600 – მეგრელი, 45 – სვანი. ზოგიერთი არაკეთილმოსურნე მეცნიერი ამ მონაცემების საფუძველზე აკეთებს დასკვნას, რომ აჭარელი, ინგილო, ლაზი, მეგრელი, ხევსური, თუში და ა.შ. ცალკე ხალხია. არადა, ყველა ქვეყანაში ანალოგიური ვითარებაა.

კერძოდ, რუსეთში მოსახლეობის 2010 წლის აღწერის დროს, 67573 რუსმა მიუთითა, რომ ეროვნებით კაზაკია, 3113 რუსმა, რომ – პომორელია და ა. შ. რა თქმა უნდა, ეს ჩვენ არ გვაძლევს უფლებას, რომ კაზაკები ცალკე ხალხად მივიჩნიოთ, ისე, როგორც არც შიროკორადს არ აქვს უფლება ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფები – მეგრელები, სვანები, ხევსურები და სხვ. ცალკე ხალხებად გამოაცხადოს. ეს პრობლემა ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ გადაწყვეტილია. მათ შიროკორადზე გაცილებით უკეთ, სიღრმისეულად იციან ქართული, მეგრული და სვანური ენების ურთიერთკავშირის საკითხები და განვითარების ეტაპები, მათი კულტურული ერთიანობის საფუძველი.

აკადემიკოსი დავით მუსხელიშვილი ამის შესახებ აღნიშნავს: **„ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შედეგად გარკვეული პერიოდიდან (IX-X სს-ში ეს დოკუმენტურადაა დამოწმებული) ტერმინი „ქართველი“ კულტურულ-პოლიტიკურ შინაარსს იძენს, ამიერიდან იგი, შეიძლება ითქვას, ზოგადი ფეოდალურ-ეროვნული ცნებაა და ამ თვალსაზრისით არსებითად ერთაირ მიმართებაშია ისეთ ეთნოგრაფიულ ცნებებთან, როგორიცაა კახი, მესხი, ქართლელი („ქართველი“), მეგრელი, ტაოელი, სვანი, თუში, დვალი, აფხაზი და სხვა და სხვა“. ამ აზრის განსამტკიცებლად მას მოჰყავს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ციტატა: „ყველა ესენი „ქართველები“ იყვნენ და ეს არა მარტო კონფესიური თვალსაზრისით, არამედ ფეოდალური კულტურის თვალსაზრისით. ამ თვალსაზრისით, ამდენადვე, აქ არ შეიძლება სხვადასხვა ეროვნებაზე, როგორც ეთნოკულტურულ ცნებაზე საუბარი. როგორც ფეოდალური ქვეყანა, აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, როგორც ჰერეთი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი... სხვა ერთიანი ფეოდალურ-კულტურული ერთეული „საქართველოში“ იმ დროს არ არსებობდა“. ბატონი დავით მუსხელიშვილი სამართლიანად ასკვნის: „ამგვარად, „ქართველი“ ფეოდალურ-ეროვნული კულტურის თვალსაზრისით ისევე ორგანულად მოიცავდა ზემოჩამოთვლილ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს, როგორც „საქართველო“ მათ შეატყვის ტერიტორიულ ერთეულებს“.**

შიროკორადი ვერ ისვენებს და აღნიშნავს: **„თბილისელმა შულერებმა შექმნეს ბაგრატ III, რომელმაც გააერთიანა საქართველო და მიუერთა მას აფხაზეთი“.** როგორც ჩვენ ვიცით, ყველაფერი პირიქით იყო და თბილისში ისევ იჯდა არაბი ამირაო. ის, რომ თბილისში იჯდა არაბი ამირა, არაფერს ნიშნავს. დავით აღმაშენებლის მეფობის გარკვეულ პერიოდშიც თბილისში არაბი ამირა იჯდა, მაგრამ საქართველო გაერთიანებული იყო. ყველაფერი ზემოთ აღნიშნული დოკუმენტურადაა დადასტურებული.

ჩვენი „ცნობილი ისტორიკოსი“ ყოველმხრივ ცდილობს, დააკნინოს ქართველი ხალხი და ამჯერად აღნიშნავს, რომ **„ქართველი შულერები თითქმის ქვის ხანიდან თავს გვახვევენ ტერმინს „საქართველო“.** ამ ტერმინის გამოყენება X-XIII საუკუნეებში ისევე უადგილოა, როგორც ალექსანდრე ნეველი რომ მივიჩნიოთ რუსეთის იმპერიის ან საბჭოთა კავშირის მთავრად... ტერმინი **„საქართველო“** ხომ XVI საუკუნიდან გამოიყენება? (გვ. 23-24), შემდეგ შიროკორადი ტერმინის წარმოშობის საკითხს ეხება და ცინიკურად ამატებს: **„ყოველ შემთხვევაში საქართველო არასგზით არ უკავშირდება ჯორჯიას შტატს“.**

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენს განსწავლულ ისტორიკოსს – შიროკორადს მოუწევს ალექსანდრე ნეველი მიიჩნიოს რუსეთის იმპერიის მთავრად, რადგან XI-XII საუკუნეებიდან ტერმინი „საქართველო“ უკვე მასობრივად იხმარება ქართულ ისტორიულ წყაროებში, მაგალითად, ამ ტერმინს ხმარობს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი **(„ქართლის ცხოვრება“, ტ. I, თბ., 1955, გვ. 368).** აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის აზრით, კავკასიის საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა X საუკუნით თარიღდება, ხოლო აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი თვლის, რომ შესაძლებელია ეს ცოტა ადრეც მომხდარიყო. ჩვენი გზააბნეული შიროკორადი რომ უფრო გავაცნობიეროთ, ამ საკითხის ისტორიულ ასპექტსაც შევეხოთ.

ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ბევრგან გვხვდება ეროვნული ერთიანობის გრძნობის გამომხატველი აზრი. ეს უპირველეს ყოვლისა, შეეხება ცალკეული ისტორიული კუთხეების შესახებ დაცულ ცნობებს. მათში ყოველთვის იგულისხმება ერთიანი სახელმწიფო ორგანიზმი. **ჯუანშერის** თხზულების **„ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“** მიხედვით, როდესაც ბერძნებმა დაიპყრეს **„ეგრისწყლითგან ვიდრე ციხეგოჯამდე... იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა“.** ამრიგად, ბერძნების მიერ **„ეგრისწყლითგან ვიდრე ციხე-გოჯამდე“** ტერიტორიის დაპყრობა ყოველი ქართველის საერთო სატკივარი იყო. მართალია, საზოგადო ტერმინი „საქართველო“ XI საუკუნიდან დაკანონდა, მაგრამ, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, შემკრებლობითი ცნების გამოსახატავად ჯერ **„ყოველი ქართლი“** ან **„ერთობილი ქართლი“** იხმარებოდა და მას ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. გიორგი მერჩულეს თხზულებაში, რომელიც 951 წელსაა დაწერილი, ეს აზრი ზედმიწევნით სრულყოფილად არის გადმოცემული: **„ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.** მაშასადამე, სადაც ქართულად სრულდებოდა წირვა-ლოცვა, ყველგან ქართლი იყო. უფრო ადრე, IX საუკუნის 50-იან წლებში უცნობი ავტორის დაწერილ თხზულებაში **„კოსტანტი კახის წამება“** იგივე აზრია გატარებული: **„კაცი ესე იყო წარჩინებულ ფრიად დიდად ყოველსა ქვეყანასა ქართლისასა“.** XI საუკუნეში უკვე მკვიდრდება **„ყოველი ქართლის“** შესატყვისი სახელწოდება **„საქართველო“,** ეს სახელი აღნიშნავს უკვე პოლიტიკურად და კულტურულად შედუღებულ სხვადასხვა ტომობრივს, ძმურ მონათესავე ერთეულს, როგორიცაა: **იბერები, მესხები, ქართები, სვანები, ჭანები, მეგრელები და სხვ.“ (კ. კეკელიძე).**

ანზორ თოთაძე,
პროფესორი,
დემოგრაფი
ტელ: 599-409-115

(დასასრული იძნება)

აშშ-ის 140 მილიონი დოლარის ინვესტიცია განათლების ყველა დონეზე ცვლილებებს ახორციელებს

- **როგორ შეიძლება სილარიბის დაძლევა განათლების სისტემის გაუმჯობესებით ?**
- **რას ხმარდება 140 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტიცია განათლების სფეროში?**
- **როდის მივიღებთ უმსხვილესი ინვესტიციის კონკრეტულ შედეგებს?**

***ათასწლეულის** გამოწვევის ფონდი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს მთავრობის თანამშრომლობის ფარგლებში, კონკრეტული მისიით შეიქმნა: ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე კომპაქტის (გრანტის) მეშვეობით, ხელი შეუწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალი კადრების მომზადებას. ფონდი ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარებისთვის საბუნებისმეტყველო-საინჟინრო და ტექნიკურ დისციპლინებში. ათასწლეულის გამოწვევის ფონდი ხუთწლიანი სამოქმედო გეგმის მესამე წელს მნიშვნელოვანი მიღწევებით განაგრძობს საქმიანობას.*

*რამდენად წარმატებით იხარჯება განათლებაში უმსხვილესი საერთაშორისო ინვესტიცია, როგორია ფონდის საქმიანობის ამჟამინდელი შედეგები და მიღწევები, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დირექტორი **მაგდა მაღრაძე** გვესაუბრა.*

— საქართველოს განთლების სისტემაში რეფორმების რამდენიმე ეტაპი გამოვიარეთ. ეს მუდმივი პროცესია და პარალელურად იხვეწება სისტემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ოთხპუნქტიანი გეგმა, რომელის ერთ-ერთი პუნქტიც განათლების სექტორის კიდევ უფრო გაძლიერებას ეთმობა. განათლების სფეროს ექსპერტებისგან, მშობლებისგან, სტუდენტებისგან კვლავ გვესმის, რომ საჭიროა მეტი ძალისხმევა, რათა მოხდეს სისტემის უფრო დახვეწა და გაძლიერება, რაც ასევე ბუნებრივი და ლეგიტიმური რეკომენდაციაა საზოგადოების მხრიდან.

— განათლება არის უმუშევრობის დაძლევისა და ქვეყნის განვითარების საწინდარი. სწორედ ამიტომ არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ საზოგადოების ყველა წევრმა გაითავისოს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია განათლება და რეფორმებს შეხვდნენ, როგორც განვითარებისთვის საჭირო და აუცილებელ ცვლილებებს.

— დღეს საქართველოში ძირითადი პრობლემა არის შეუსაბამობა იმ ცოდნასა და უნარებს შორის, რასაც, ერთი მხრივ, სტუდენტი იძენს სასწავლებელში და, მეორე მხრივ, დამსაქმებელს და, დღევანდელ შრომის ბაზარს ესაჭიროება. სწორედ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, 2014-2019 წლებში ვახორციელებთ პროექტს „ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტს“, რომელსაც აშშ-ის მთავრობა მხარს უჭერს 140 მილიონი აშშ დოლარის გრანტით. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალი კადრების მომზადებას საქართველოში.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომ მოხდეს საქართველოს განათლების სისტემის ხელშეწყობა, რომელიც დაეხმარება ქვეყანას, გადავიდეს ეკონომიკის განვითარების შემდგომ ეტაპზე, ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების მეშვეობით. საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები, აგრეთვე, განვითარებული ქვეყნების გამოცდილებაც ამას გვიჩვენებს, რომ ეკონომიკის გაძლიერება და არსებული გამოწვევების გადაჭრა დამოკიდებულია შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალებზე, კონკრეტულად კი ინჟინრებზე, ტექნოლოგებზე და საბუნებისმეტყველო დარგების პროფესიონალებზე.

ჩვენი ფონდის მიერ ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა აღნიშნულ სფეროებში კვალიფიციური, განათლებული და მომზადებული კადრების დეფიციტი. აღმოჩნდა, რომ ყველაზე მეტად ადგილობრივი რესურსებით ვერ ვპასუხობთ საინჟინრო, ტექნოლოგიურ და საბუნებისმეტყველო დარგის მოთხოვნებს; ამ დარგების მიმართ განსაკუთრებით დიდია ინვესტორებისა და ადგილობრივი ბიზნესის ინტერესი. შესაბამისად, ჩვენი ყველა პროგრამა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან მჭიდრო პარტნიორობით ხორციელდება და თანხვედრაშია მიმდინარე რეფორმებთან, ხელს უწყობს კვალიფიციური, თანამედროვე უნარებისა და ცოდნის მქონე კადრების მომზადებას პროფესიული და უმაღლესი განათლების დონეებზე.

— მისიის შესასრულებლად გაიწერა 5-წლიანი სტრატეგიული გეგმა, რა ძირითადი მიმართულებები შევიდა სამოქმედო გეგმაში?

— გამომდინარე იქიდან, რომ კვლევებში პრობლემურ სფეროებად STEM (Science, Technology, Engineering, Math) მიმართულება გამოიკვეთა, 2014-2019 წლის პერიოდში ფონდის მიერ განხორციელებული პროექტები ხელს შეუწყობს აღნიშნული სფეროების სპეციალისტების მომზადებას. აშშ-ის მთავრობისა და ხალხის ეს უმსხვილესი ინვესტიცია განათლების ყველა სექტორს მოიცავს და მისიის შესასრულებლად, ერთგვარ ლოგიკურ ბმას გადის ზოგადი განათლებიდან უმაღლეს განათლებამდე.

უფრო კონკრეტულად, ფონდის საქმიანობა 3 ძირითად მიმართულებად იშლება:

- 76 მილიონი ამერიკული დოლარი იხარჯება ზოგადი განათლების მიმართულებით: საჯარო სკოლების ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგის, მათემატიკისა და ინგლისური ენის მასწავლებლები იმაღლებენ კვალიფიკაციას. საქართველოს მასშტაბით შერჩეულია სკოლები, რომელთაც სრული რეაბილიტაცია უტარდება და აღიჭურვება უახლესი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით. ზოგადი განათლების სისტემის განვითარებისთვის აუცილებლად გვჭირდება კარგი მენეჯერები სკოლის სისტემაში, ამიტომ ყველა საჯარო სკოლის დირექტორი მონაწილეობას იღებს დარგის სპეციალისტების მიერ შექმნილ გადამზადების პროგრამაში.
- 16 მილიონი ამერიკული დოლარი ხმარდება პროფესიული სასწავლებლებისთვის საერთაშორისო დონისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების დანერგვასა და ინფრასტუქტურის მოწყობას. ძალიან მალე გვეყოლება კვალიფიციური კადრები, რომლებიც სრულად უპასუხებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამ პროექტის ფარგლებში 40-მდე ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნება, რომლის უმეტესობას აქვს საერთაშორისო სერტიფიცირება და შექმნილია დამსაქმებლების ჩართულობით, რომ კურსდამთავრებულების მიმართ მათი მოთხოვნები სრულად იყოს გათვალისწინებული.
- 30 მილიონი ამერიკული დოლარი გამოიყო უპრეცედენტო საგანმანათლებლო პროექტისთვის — საქართველოში ამერიკული უნივერსიტეტი — სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი შემოვიდა, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ბაკალავრიატის პროგრამებს. 2014 წლიდან სტუდენტებს საქართველოში აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, მიიღონ ამერიკული განათლება და დიპლომი. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი მესამე წელია, წამატებით ფუნქციონირებს და ბაკალავრის 6 პროგრამას ახორციელებს სამ პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთად — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. აღსანიშნავია, რომ პარალელურად მიმდინარეობს სამივე სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამებისთვის საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების პროცესი, ლაბორატორიებისა და აუდიტორიების რეაბილიტაცია და უახლესი აღჭურვილობით მოწყობა, ქართველი პროფესორ-მასწავლებლების პროფესიული განვითარება, რაც გრძელვადიან ხედვაში ძალიან მნიშვნელოვანია.

— ქალბატონო მაგდა, როგორია ფონდის საქმიანობის ამ დროისთვის მიღწეული შედეგი, თუ შეგვიძლია ვისაუბროთ კონკრეტულ მაჩვენებელზე?

— 7200 მასწავლებლის გადამზადების პროცესი დასრულებულია, საჯარო სკოლების 1800-მა დირექტორმა გაიარა გადამზადების პირველი ეტაპი. 29 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დასრულდა შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში. 32 სკოლის რეაბილიტაცია დაიწყო წელს ზაფხულში, ჯამში 90-მდე სკოლის რეაბილიტაციის განხორციელებას ვგეგმავთ 2019 წლამდე. პროფესიული სასწავლებლებისთვის გაიცა 10 მსხვილი გრანტი 12 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ხორციელდება ახალი აღჭურვილობის შესყიდვა. მიმდინარე წლის სექტემბრიდან 40 ახალი პროფესიული პროგრამა შევა ძალაში. მესამე წელია, ამერიკული უნივერსიტეტი საქართველოში იღებს ბაკალავრიატის სტუდენტებს, 2000 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართი აღიჭურვა უახლესი ტექნოლოგიებით სამი პარტნიორი უნივერსიტეტის ბაზაზე, საფუძველი ჩაეყარა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი შენობის პროექტს, რომლის მშენებლობა წელს სექტემბერში დაიწყება. 40-ზე მეტმა ქართველმა პროფესორ-მასწავლებელმა მონაწილეობა მიიღო პროფესიული განვითარების პროგრამაში აშშ-ში, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კალიფორნიის კამპუსში.

ამ რაოდენობრივი შედეგების გარდა, ძალიან მაღალია ხარისხობრივი შედეგიც. ყველა პროცესში ჩართული არიან ქართველი პროფესიონალები და იღებენ საერთაშორისო გამოცდილებას, პროექტების თანმიმდევრული დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო პრაქტიკას სწავლობენ და ვფიქრობ, ეს უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. დღეს გადადგმული ნაბიჯები შედეგს მინიმუმ 5 წლის შემდგომ გვაძლევს. განათლებაში დიდი მიღწევების სწრაფად განხორციელება რთულია, თუმცა, თუ დროულად არ დავიწყებთ ქმედებას და იმის შეცვლას, რაც განვითარებას უშლის ხელს, შეგვიძლია, გაუთავებლად ვისაუბროთ ამ გამოწვევებზე და ვერაფერს მივაღწიოთ.

www.pirveli radio.ge

ცესკოში „გირჩელების“ „ბატის ბუმბულით დაწერილი უსტარი არ ჩაიბარეს“

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო ხელმოწერები გირჩმა ცესკოში გუშინ შეიტანა. „გირჩმა“ ცესკოში ხელმოწერები ფაეტონით მიიტანა. ამასთან, მათივე თქმით, „ბატის ბუმბულით დაწერილი უსტარი“ ცესკომ არ ჩაიბარა. მათ ცესკოში 28 000 მხარდამჭერის ხელმოწერა მიიტანეს და 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე დარეგისტრირების სურვილი გამოთქვეს. როგორც პარტიის ლიდერი ზურაბ ჯაფარიძე აცხადებს, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე „გირჩი“ რეგისტრირებული იყო და მისი რეგისტრაცია პირადი განცხადების საფუძველზე გაუქმდა. ამიტომ, ჯაფარიძის განმარტებით, პოლიტიკურმა ცენტრმა კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით, 25 000 მხარდამჭერის ხელმოწერის ნაცვლად, 28 000 წარადგინა.

◎ სიტყვა მეგობარზე

ჩემი მურაზი

მურაზ მურვანიძე - გარეგნობითა და ნიჭიერებით გამორჩეული მხატვარი ჩემი თანამედროვე და მეგობარია. ის კაცია, რომელიც უზომოდ უხდება თბილისს და არის კიდეც მისი საპატიო მოქალაქე. მურაზი საქართველოს სახალხო მხატვარია და სიტყვა „სახალხო“ ზუსტად შეესაბამება მის გახსნილ ხასიათს, რაინდულ გარეგნობას, წიგნიერებას, რასაც ადამიანებისდმი ის უსაძღვრო სიყვარული ემატება, რომელიც ზუსტად ხსნის ამ სიტყვის მნიშვნელობას. საპატიო თბილისელობას ღირსების ორდენიც ემატება და უნდა ვთქვა, რომ ღირსების ორდენის კავალერი სწორედაც რომ ღირსეული კაცია!

ჩვენ ერთი თაობა ვართ, ერთი დროის, ერთი ქალაქის შვილები და ხან მგონია, მურაზი მე ვარ და მურაზი -გელაა, რადგან იმდენ საერთოს ვიჭერ ჩვენს ხასიათსა და დამოკიდებულებებში.

მეამაყება და მიხარია ყველა ის ჯილდო, რაც მურაზისთვის მიუნიჭებიათ, იგი არის სახელმწიფო, პიკასოს, ლინკოლნის ცენტრის, ჩიკაგოს საერთაშორისო პრემიების ლაურეატი; საქართველოს, პოლონეთის, კანადის საუკეთესო თეატრალური მხატვარი.აგრეთვე სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის, მონტე კარლოს საერთაშორისო მუსიკალური ასოციაციის, ძველი და ახალი მონტე კარლოს მთავარი მხატვარი.

მარტო თბილისში მურაზის ბოლოდროინდელი საოცრება — ფუნიკულიორზე მოხატული და გაფორმებული ბომბორას პარკი რად ღირს... ამ კაცზე ბევრი შემიძლია ვთქვა და გავიხსენო.

ახლახან, ჩემ სამუშაო კაბინეტში მურაზი ისეთი გამორჩეული საჩუქრით მეწვია, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, ჩვენს მეგობრობას დროის ჩრჩილი ვერაფერს რომ ვერ დააკლებს.

ახლა ჩემ მაგიდაზე ადამიანური სიყვარულის აღიარებად დევს იმ უშრეტი ფანტაზიისა და ნიჭიერების ნაყოფი, რითაც მურაზმა მე და გენიალური მსტისლავ როსტროპოვიჩი ერთმანეთს დაგვაკავშირა და თავის უნიკალურ სამყაროში მოგვაქცია. ნახატს კი მიაწერა — თავისი საქმის ორი მაესტრო!

ბრავო, მურაზ, ასეთს რომ მხედავ, ეს სწორედ წლების წინ დაწყებული მეგობრობის დასტურიცაა და აღიარებაც!!

მერე, როცა მურაზს ჩემი და როსტროპოვიჩის დაკავშირების იდეაზე ვკითხე, გაიხსენა — მე და როსტროპოვიჩი ერთხელ მონტე კარლოში ერთად ვიყავით, თბილი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, ერთხელ კლუბში ვისხედით ფრანგ სტუმართან ერთად. როსტროპოვიჩმა სრული სერიოზულობით დაიწყო — ახლა აქ სამი ქართველი ვსხედვართ, შენ — მურვანიძე, მე — როსტროპიძე და ფრანგი სტუმრის გვარიც ქართულად გადააკეთა და ძეთი დააბოლოვა. ეს იყო პატარა , იუმორისტული ჟესტი, რითაც საქართველოსადმი განსაკუთრებული სიყვარული გამომიცხადა, აბა როგორც დიდ მაესტროს მსოფლიო ისედაც იცნობს!!!

ასეა, ადამიანებს ერთმანეთის გახარება პატარ-პატარა ისტორიებითა და დიდი სიყვარულით შეგვიძლია. ასეთად მივიჩნევ მე მურაზ მურვანიძის მეგობრულ შარჟს ორი მაესტროს თემაზე, რომელიც ამიერიდან ჩემი კაბინეტის „ბინადარია“. ჩემ მურაზს კი ვუსურვებ, არასოდეს დაეკარგოს მეგობრობის, ხატვისა და სიყვარულის ხალისი!

გელა მუხაშავრია,
საპატიო თბილისელი.

რეინჯერებმა პროფესიული დღე იზეიმეს

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილემ ეკატერინე გრიგალავამ გუშინ დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერებს პროფესიული დღე მიულოცა. დაცული ტერიტორიების დაცვასა და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მადლობის სიგელებით და ფულადი პრემიით 37 რეინჯერი დაჯილდოვდა.

ასევე, კომპენსაცია გადაეცათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული რეინჯერების ოჯახებს. 31 ივლისი რეინჯერთა მსოფლიო დღეა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაშავებულ თუ გარდაცვლილ რეინჯერთა ხსოვნას ეძღვნება. ღონისძიება პროექტის „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში-საქართველო“ ფინანსური დახმარებით გაიმართა.

◎ გამოიცა

ქართველი პოეტები - სომხურად

შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს ამ დღეებში პოეზიის სომეხმა მოყვარულებმა. სომხეთის ავტოკეფალური ეკლესიის საქართველოს ეპარქიასთან არსებულ ცენტრ „აირათუნის“ გალუსტ გიულბეკიანის სახელობის დარბაზში, ნატიფი სიტყვიერების ტრფიალთ უაღრესად სოლიდური გამოცემა „ქართული პოეზიის ანთოლოგია სომხურ ენაზე“ წარუდგინეს.

ამ ღირსშესანიშნავი გამოცემის შემოქმედი და სულისჩამდგმელი ცნობილი სომეხი პოეტი, მხატვრული თარგმანის დიდოსტატი **გაგიკ დავთიანია,** რომელმაც ცოტა ხნის წინათ დაბადებიდან 70 და შემოქმედებით მოღვაწეობის 50 წლისთავი აღნიშნა.

— ძნელია გაგიკ დავთიანის ქართული ლიტერატურის წინაშე ამაგის გადაჭარბებით შეფასება, რომელმაც მაღალ მხატვრულ დონეზე სომხურად შესანიშნავად თარგმნა სამ ათეულზე მეტი როგორც აწ გარდაცვლილი, ისე დღესაც მოღვაწე ქართველი პოეტის შემოქმედება, — თქვა მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა**.

თავის გამოსვლაში იგი ასევე შეეხო ორ ქვეყანას შორის ლიტერატურულ კავშირთა მნიშვნელობას, ხაზი გაუსვა ამ მხრივ ქართულად თარგმნილი სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის **ედუარდ მელიტონიანის** წიგნის „ადამიანი და ცირკის“ დიდ როლს.

ანთოლოგიაში შესულია სხვადასხვა თაობის ქართველ პოეტთა — ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, მორის ფოცხიშვილის, ჯანსუღ ჩარკვიანის, რენე კალანდიას, ვახტანგ ხარჩილავას, მანანა ჩიტიშვილის, თამარ შაიშმელაშვილის, ბელა ქებურიას, სხვათა ლექსები.

— მწერლის მისია, ჩემი აზრით, არა მარტო ორიგინალურ და ნათარგმნ ნაწარმოებთა შექმნა, არამედ შემოქმედებითი კონტაქტების, ერთგვარი „პოეტური მიმოცვლის“ დამყარებაცაა, რაც კულტურათა დაახლოების მნიშვნელოვანი მდგენელია, — აღნიშნა გაგიკ დავთიანმა.

დამსწრე საზოგადოება მხურვალედ მიესალმა სომეხი პოეტისა და მთარგმნელისთვის გაგიკ დავთიანისთვის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის მინიჭების ცნობას, რის დამადასტურებელი დიპლომი მას საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა გადასცა.

ნინო ალექსანდრია



ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე ყოველდღიურად 45,300 ადამიანი ვაჭრობს

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა ბაზრების და ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული 211 ეკონომიკური სუბიექტი, რომელთა 29,4% ქალაქ თბილისშია განთავსებული, 21,8% — იმერეთში, 12,3% — სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, 11,4% — კახეთის რეგიონში, 8,1% — ქვემო ქართლში, 5,2% — აჭარაში, 4,3% — შიდა ქართლში, 2,8% — სამცხე-ჯავახეთში, 1,9% — გურიაში, 1,9% — მცხეთა-მთიანეთში და 0,9% — რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში.

ბაზრობების ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის წილად მოდის 2016 წელს მოქმედი ბაზრობების საერთო რაოდენობის 77,3%, ინდივიდუალური მეწარმეების წილად კი — 20,4%. ბაზრობების დანარჩენ ნაწილს გააჩნია კოოპერატივის (0,9%), სააქციო საზოგადოების (0,9%) და სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0,5%) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. ბაზრობების 95,7% კერძო საკუთრებაშია, ხოლო 4,3% — სახელმწიფო საკუთრებაში.

2016 წელს ბაზრობების ორგანიზებით დაკავებულ საწარმოებში (ბაზრობების დირექციებში) დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა 3,2 ათას კაცს შეადგენდა, რომელთაგან 33,9% ქალია. დასაქმებულთა 44,7% ქალაქ თბილისზე მოდის, დანარჩენი სხვა რეგიონებზე ნაწილდება. „საქსტატის“ ცნობით, საქართველოში მოქმედი ბაზრებისა და ბაზრობების ტერიტორიაზე 59,9 ათასი სავაჭრო ადგილია, სადაც საშუალოდ ერთ დღეში 45,3 ათასი კაცი ვაჭრობს.

2016 წელს ბაზრების, ბაზრობების და ბაზრობის ტიპის საწარმოების შემოსავლებმა 144,3 მლნ. ლარი შეადგინა. ბაზრობების ტერიტორიაზე მოვაჭრე ეკონომიკური სუბიექტების მიერ ვაჭრობის უფლებისათვის (ერთჯერადი გადასახდელის სახით) გადახდილია 53,3 მლნ. ლარი, რაც ბაზრობების დირექციების შემოსავლების 36,9%-ს შეადგენს. 57,2%-ს შეადგენს შემოსავლები სავაჭრო ფართის გაქირავებიდან, ხოლო 5,8% — სხვა სახის შემოსავლებს მიეკუთვნება. 2016 წელს ბაზრობის ორგანიზებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტების დანახარჯებმა 98,2 მლნ. ლარი შეადგინა, აქედან შრომის ანაზღაურებამ დასაქმებულ პერსონალზე — 27,3 მლნ. ლარი.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



დიპლომატიური სუფრის დროს ჩნდებოდა უხერხული სიტუაციებიც. ვალენტინ ბერეჟკოვმა, რომელიც უთარგმნიდა სტალინს პრაქტიკულად ყველა კონფერენციაზე, გაიხსენა ასეთი ეპიზოდიც. ინგლისის გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ალან ბრუკმა წარმოთქვა ერთი მეტად უცნაური სადღეგრძელო. ბრიტანელის უტაქტობაზე სტალინის რეაქცია ღირს იმად, რომ აღინიშნოს:

„ბრუკი წამოდგა ფეხზე და დაიწყო იმის შესახებ მსჯელობა, თუ მოკავშირეებიდან ვინ დაზარალდა ყველაზე მეტად. მან განაცხადა, რომ ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღეს ინგლისელებმა, რომ მათი დანაკარგები სჭარბობს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს დანაკარგებს, რომ ინგლისი ყველაზე დიდხანს და ყველაზე მეტად იბრძოდა და ყველაზე მეტიც გააკეთა გამარჯვებისთვის. დარბაზში უხერხული დუმილი ჩამოწვა. უმრავლესობამ, რასაკვირველია, იგრძნო გენერალ ბრუკის გამოსვლის უტაქტობა. ყველამ ხომ იცოდა, რომ ჰიტლერული ჯარების ძირითადი მასა მიჯაჭვულია საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე... სტალინი მოიჭმუხნა. ის უმალ წამოდგა ფეხზე და მკაცრი თვალით გახედა ყველას. თითქოს უნდა ატეხილიყო ქარიშხალი. მაგრამ მან აიყვანა თავი ხელში და მშვიდად წარმოთქვა:

— მინდა, ვთქვა იმის შესახებ, თუ საბჭოთა მხარის აზრით, რა გააკეთეს გამარჯვებისთვის პრეზიდენტმა რუზველტმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ამ ომში მთავარია მანქანები. შეერთებულმა შტატებმა დაადასტურა, რომ მას შეუძლია აწარმოონ თვეში 8-დან 10 ათასამდე თვითმფრინავი. ინგლისი ყოველთვიურად აწარმოებს 3 ათას თვითმფრინავს, უმთავრესად მძიმე ბომბდამშენებს. მაშასადამე, შეერთებული შტატები მანქანების ქვეყანაა. ეს მანქანები, რომლებსაც ლენდ-ლიზით ვღებულობთ, გვეხმარება ჩვენ მოვიგოთ ომი. ამის შესახებ მინდა, წარმოვთქვა სადღეგრძელო...“ (ვ. მ. ბერეჟკოვი. დიპლომატიური ისტორიის ფურცლები).

გეორგიუ დეჟი

ძალიან მინდოდა, რომ ეს ისტორია წაეკითხა მკითხველებს, რომელთა უმრავლესობაც არიან ისინი, ვინც ლაპარაკობს პატივისცემის შესახებ სტალინისადმი, მაგრამ სინამდვილეში იჩენენ შუბლმაგრობასა და სწორხაზოვნობას. მეტოქეები სტალინს ჰყავდა ღირსეულები. ამიტომაც იმ პერიოდის საბჭოთა დიპლომატიის მიღწევებმა, რომლებსაც პირადად იოსებ ბესარიონის ძე პირდაპირ



ნიკოლაი ჩაუშესკუ

სტაცებდა ანგლოსაქსებს, კიდევ მეტი პატივისცემა უნდა გამოიწვიოს.

ან აი კიდევ უკიდურესად საცნობისმოყვარეო ისტორია, რომელსაც ჰქონდა ირიბი დამოკიდებულება სტალინთან. ომის დროს სტალინმა გასცა განკარგულება, გამოეხსნათ ფაშისტური ტყვეობიდან რუმინელი კომუნისტების ლიდერი გეორგიუ დეჟი. მზვერავებმა შეძლეს, გასულიყვნენ ბუქარესტში ესესელზე, ვისეზეც დამოკიდებული იყო დეჟის ბედი. ის დათანხმდა დახმარებას ოქროს საფასურით. სირთულე იყო ის, თუ როგორ მიეწოდებინათ ეს ოქრო ციხეში. მასში იყვნენ არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ სისხლის სამართლის პატიმრებიც. და აი პატიმართა შორის აღმოაჩინეს ახალგაზრდა ჯიბის ქურდი, რომელსაც დიდი კავშირურთიერთობა ჰქონდა სისხლის სამართლის სამყაროსთან. ქურდმა იკისრა დახმარება და ოქროს მიწოდება ციხეში. ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და რუმინეთის კომპარტიის ხელმძღვანელი მოსკოვში აღმოჩნდა. და აი დადგა 1944 წლის აგვისტო, როდესაც წითელმა არმიამ გაათავისუფლა ბუქარესტი. დეჟი სათავეში ჩაუდგა ახალ რუმინეთს და გაიხსენა ის ახალგაზრდა, ვინც მას გათავისუფლებაში დაეხმარა. აღმოჩნდა, რომ ის ისევ გამოიჭირეს ჯიბის ქურდობაზე და იხდიდა სასჯელს ახალი ხელისუფლების დროს. რუმინეთის კომპარტიის მეთაურმა გადაწყვიტა მისი დახმარება. ყოფილი ჯიბის ქურდი მოაწყვეს სამსახურში, ის კომკავშირელი აქტივისტი გახდა. შემდეგ დაიწყო სწრაფი კარიერა და დროთა განმავლობაში სათავეში ჩაუდგა ბუქარესტის ახალგაზრდობის კავშირის საქალაქო კომიტეტს. შემდეგ მოხვდა პარტიულ აპარატში. კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ ჯიბის ქურდი გახდა რუმინეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი. ამ ამხანაგს ერქვა ნიკოლაი ჩაუშესკუ...

სტალინს ფენომენალური მეხსიერება ჰქონდა. მას ახსოვდა უამრავი ინფორმაცია.

„არ შევხვედრივარ ადამიანებს, რომლებსაც იმდენი რამ ახსოვდათ, რამდენიც მას. სტალინი იცნობდა არა მხოლოდ ფროონტებისა და არმიების სარდლებს, მათი რაოდენობა კი ასზე მეტი იყო, არამედ კორპუსებისა და დივიზიების ზოგიერთ მეთაურსაც, აგრეთვე თავდაცვის სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელ მუშაკებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ცენტრალური და საოლქო პარტიული და სახელმწიფო აპარატის ხელმძღვანელ შემადგენლობაზე. მთელი ომის განმავლობაში ი. ბ. სტალინს მუდმივად ახსოვდა სტრატეგიული რეზერვების შემადგენლობა და შეეძლო, ნებისმიერ დროს დაესახელებინა ესა თუ ის ფორმირება... ასეთი მეხსიერება აძლევდა სტალინს უპირატესობას, როგორც უმაღლეს მთავრსარდალს. მას არ სჭირდებოდა მუდმივი ცნობები, კარგად იცნობდა ვითარებას ფრონტზე, მხედართუფროსების დადებით და უარყოფით მხარეებს, მრეწველობის შესაძლებლობებს დააკმაყოფილონ ფრონტების მოთხოვნები უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის დაქვემდებარებაში არსებული შეიარაღების, არტილერიის, ტანკების, თვითმფრინავების, საბრძოლო მასალების, სათბობის რაოდენობა, რაც ასე აუცილებელია ჯარებისთვის, და თავად ანაწილებდა მათ ფრონტების მიხედვით“. (ა. მ. ვასილევსკი. მთელი სიცოცხლის საქმე).

სტალინის მეხსიერების შესახებ ბევრი წერდა. მხოლოდ ამგვარი მოგონებებით შეიძლება მთელი წიგნი შეადგინო. აი როგორ აღწერს მარშალი გოლოვანოვი უმაღლეს მთავარსარდალთან რაიხის დედაქალაქზე საავიაციო დარტყმების განხილვას.

„როდის მიგაჩნიათ შესაძლებლად ბერლინზე თავდასხმის განახლება? — როგორც იქნა, შევეკითხე ბოლოს. მან დაასახელა თვე და რიცხვი.

— ეს ზუსტია?

— სავსებით ზუსტია, ამხანაგო სტალინ, თუ ამინდი არ შეგვიშლის ხელს.

სტალინმა ცოტა გაიარ-გამოიარა და თქვა:

— ვერაფერს იზამ, მომიწევს დაგეთანხმოთ.

საუბარი დამთავრდა. ამ ეპიზოდზე საუბარი რომ დავამთავროთ, უნდა ვთქვა, რომ ბერლინის შესაძლო დაბომბვისთვის ჩემ მიერ დასახელებული რიცხვის ზუსტად შუაღამისას დამირეკა სტალინმა. მისალმების შემდეგ შემეკითხა, ხომ არ დამავიწყდა, რა დღეა დღეს. და როდესაც მოისმინა, რომ თვითმფრინავების ჯგუფი ამა და ამ დროს გაფრინდა იმ დავალების შესასრულებლად, ივნისში რომ მივიღეთ, და რამდენიმე წუთის შემდეგ დაიწყება ბერლინის დაბომბვა, მან წარმატება უსურვა ჩვენ მფრინავებს“. (ა. ე. გოლოვანოვი, შორეული ბომბდამშენი... ავიაციის მთავარი მარშლის მოგონებები).

ერთხელ გ. კ. ჟუკოვი, როდესაც დასავლეთის ფრონტის სარდალი იყო, მოხსენების გასაკეთებლად ჩავიდა უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკში. გაშალეს რუკები, დაიწყო მოხსენება. სტალინი... მიმოდიოდა და ეწეოდა ჩიბუხს... ყურადღებით ათვალიერებდა რუკებს, ჟუკოვის მოხსენების დამთავრების შემდეგ თითით მანიშნა რუკაზე ადგილი და იკითხა:

— ეს რა არის?!

ჟუკოვი დაიხარა რუკაზე და, ოდნავ შეწითლებულმა უპასუხა:

— ოფიცერმა, რომელსაც ვითარება შეჰქონდა რუკაზე, აქ არასწორად გაატარა თავდაცვის ხაზი. იგი გადის აქ, — და აჩვენა წინა ხაზის ზუსტი განლაგება (რუკაზე თავდაცვის ხაზი, რომელიც შეტანილი იყო, ეტყობა, ნაჩქარევად, ნაწილობრივ ტბაზე გადიოდა).

— სასურველია, რომ აქ მოდიოდნენ ზუსტი მონაცემებით, — შენიშნა სტალინმა.

თითოეული ჩვენგანისათვის ეს სანიმუშე გაკვეთილი იყო... სტალინს ჰქონდა რაღაც გასაოცარი უნარი, შეენიშნა სუსტი ადგილები ნებისმიერ საქმეში“ (ა. ე. გოლოვანოვის იგივე წიგნი).

აქ დადგა დრო გავიხსენოთ მეორე ისტორიაც, რომლის დროსაც სტალინი გაბრაზდა. ეს ისტორია გადმოგვცა რუსული არტილერიის ნიჭიერმა კონსტრუქტორმა ვასილი გრაბინმა. სწორედ მას სტალინმა 1942 წლის 1 იანვარს უთხრა: „თქვენმა ქვემეხმა გადაარჩინა რუსეთი!“ მაგრამ ეს გადარჩენა რომ შემდგარიყო, საჭირო იყო არა მხოლოდ გამოგეგონებინა უახლესი საარტილერიო სისტემები, არამედ ჩაგეშვა კიდეც ისინი წარმოებაში. უნდა დაგეძლია უამრავი დაბრკოლება, რომელთა შესახებაც ჩვენ შეიძლება გავიგოთ დღეს მემუარებიდან. აი ნაწყვეტი მწერალ ფელიქს ჩუევის წიგნიდან. ავტორი სტალინის ყოფილ თანამებრძოლსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ვიაჩესლავ მოლოტოვს უამბობს, რომ გაიცნო გრაბინი: „სალამს გადმოგცემთ ქვემეხების კონსტრუქტორი ვასილი გრაბინი. მე ის ამ ცოტა ხნი სწინათ გავიცანი. მან მე მაჩუქა ჟურნალი მის წიგნთან — „გამარჯვების იარაღი“ — ერთად, და მას დააწერა: „აი როგორ იწრთობოდა გამარჯვების იარაღი ი. ბ. სტალინის ეპოქაში“. მე მას შევეკითხე: „როგორ ფიქრობთ, სტალინი ჭკვიანი კაცი იყო?“ — „ჭკვიანი — ეს ის სიტყვა არაა. ჭკვიანები ჩვენ ბევრი გვყავს. ის გულითადი ადამიანი იყო, ის ადამიანებისთვის ზრუნავდა, ხრუშჩოვმა თქვა, რომ ჩვენ ომისთვის არ ვემზადებოდით. მე კი ყველა ჩემი ქვემეხი ომამდე შევქმენი. მაგრამ რომ მოესმინათ ტუხაჩევსკისთვის, ისინი არ იქნებოდა“.

თურმე, „დიდმა მხედართმთავარმა“ ტუხაჩევსკიმ სამხედრო დათვალიერებაზე უარი განაცხადა, გამოეფინათ გრაბინის ქვემეხების საცდელი ნიმუში. და რომ არა სტალინის პირადი ჩარევა, წითელი არმია შეიძლებოდა დარჩენილიყო უარტილერიოდ. შეკითხვას, რატომ იქცეოდა მარშალი ტუხაჩევსკი ასე, აქვს მხოლოდ ორი პასუხი. ის ხომ ნამდვილი გამყიდველი იყო, მისი შეთქმულება რეალური იყო, და ამაზე დღეს არანაირი ეჭვი არ არსებობს. ასე რომ, უარი თავდაცვის სისტემების განვითარებაზე შეიძლება ყოფილიყო „გეგმიური“ აქტი სსრ კავშირის სამხედრო დამარცხების მომზადების სისტემაში, რასაც ამზადებდნენ ტუხაჩევსკი და მისი ქვეშევრდომები. ყოველივე ამის გარდა, ის ხომ შეიძლებოდა ყოფილიყო არაკომპეტენტური და არც დიდად ჭკვიანი. ამიტომ ორივე ვარიანტში რუსეთის თავდაცვისუნარიანობაში არანაირი ზიანის მოტანა „ტუხაჩეველების“ ჩამოშორებას არ შეეძლო.

ახლა დადგა დრო გავეცნოთ გრაბინის მემუარებს და შევხედოთ, თუ რეალურად როგორ ღებულობდნენ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის დარგში. საკონსტრუქტორო აზროვნებისაგან ხომ ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული. მაგრამ კიდევ უფრო ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ შეაფასებს მის წინადადებებს. მარტო ერთი მაგალითიც, რომელსაც არა აქვს არანაირი და-

მოკიდებულება გრაბინთან, მეტად თვალსაჩინოა. გერმანული ნაღმსატყორცნის კალიბრი 18 მილიმეტრს უდრის. ჩვენმა კონსტრუქტორებმა გადაწყვიტეს, გაეხადათ კალიბრი 82 მილიმეტრი. რა არის აზრი? ის, რომ საბჭოთა ნაღმსატყორცნების გამოყენება არ შეეძლოთ გერმანელებს, გერმანული ნაღმები კი შესანიშნავად გამოდიან ჩვენი ნაღმსატყორცნების ლულებიდან წინა „მებატონეების“ მიმართულებით. თითქოსდა — მხოლოდ ერთი მილიმეტრი, არადა, რამხელა სხვაობაა!

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-106, 108, 112, 114-115, 117, 121-125, 131, 133, 135-139, 140-150

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ! ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ!

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ გვინახავს — ასე ვთქვათ, „ცოცხლად“ თუ ტელევიზიით, რომ პრეზიდენტების (მეტადრე დიდი ქვეყნების) გადაადგილებისას მათ რამდენიმე ათეული სხვადასხვა ტიპის, ოღონდ აშკარად გამორჩეული მანქანების უზარმაზარი კოლონა მისდევს ხოლმე. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თანმხლები ავტოკოლონა, ჩვეულებრივ, სამ ათეულამდე ავტომანქანა შედის.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ავტომანქანის გადაადგილების ორგანიზება, ისრაელის პორტალის „ველა ნიუსის“ ცნობით, ლოჯისტიკური თვალსაზრისით ურთულესი ოპერაციაა. ერთი მხრივ, პირველი ხარისხის გადასაწყვეტი ამოცანაა პრეზიდენტზე შეტევის მიტანის ნებისმიერი მცდელობის აღკვეთა, მეორე მხრივ კი, თუკი ასეთი მცდელობა მაინც იქნება, მისი მოგერიება. ამიტომაცაა, რომ თითოეული მანქანის ეკიპაჟი მასზე განპირობებულ უბანზეა პასუხისმგებელი.

1. სამარშრუტო და „წინმაცქერალი“ ავტომანქანები. პირველი მათგანი პრეზიდენტის გადაადგილების მარშრუტით რამდენიმე წუთით წინ მიდის. ვიზუალურის გარდა, რომელიც დაკვირვების კიდევ მრავალი საშუალებითაა აღჭურვილი, მისი ეკიპაჟი კორტეჟის სამეთაურო პუნქტს უპატაკებს, რომ ყველაფერი რიგზეა, „წინამაცქერალი“ ავტომანქანაც იგივეს აკეთებს, ოღონდ მარშრუტზე კორტეჟს წინ მხოლოდ ერთი წუთით უსწრებს.

2. მწმენდავები. ესენია 6-დან 20-მდე ავტომანქანა და მოტოციკლი, რომელიც კორტეჟის თავში მოძრაობს. მათი ამოცანა პრეზიდენტის დაუბრკოლებლად გადაადგილების უზრუნველყოფაა, რაც უცაბედი გაჩერების ალბათობას გამორიცხავს. ზოგიერთი მათგანი დროდადრო წინ გაიჭრება ხოლმე გვერდითი ქუჩების ჩასაკეტად. წინააღმდეგობის წარმოშობის შემთხვევაში მწმენდავები შეჯახებასაც არ ერიდებიან. მათ იმის საშუალებაც და უფლებაც აქვთ, რომ გზიდან ის მანქანა გადააგდონ, რომელიც სახიფათოდ მოეჩვენებათ.

3. წამყვანი ავტომანქანა. ესაა მთავარი ბადრაგის პირველი ავტომანქანა, რომელიც, როგორც წესი, საიდუმლო სამსახურის კუთვნილი „შევროლე საბარბანია“ და უშუალოდ პრეზიდენტის მანქანის წინა ბუფერს წარმოადგენს. უცაბედი წინააღმდეგობის წარმოშობის შემთხვევაში მის ეკიპაჟს ისეთივე უფლებები აქვს, როგორც მწმენდავებს. საეჭვო მანქანის ტარანისთვის მას მეტი ტექნიკური შესაძლებლობებიც კი აქვს.

4. „ძირითადი კერძი“. დაცვის ჟარგონზე პრეზიდენტის ლიმუზინს კოდური სახელით „ეტლით“ აღნიშნავენ. გარეგნულად მას ჩამუქებული შუშებიანი „კადილაკის“ იერი აქვს, სინამდვილეში კი ესაა „ჯენერალ მოტორსის“ მძიმე პლატფორმაზე აწყობილი ჯავშნოსანი, რომელსაც გაძლიერებული ძრავა უდგას. მას ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის შეტევების მოგერიება შეუძლია, თანაც ღამის ხედვის ხელსაწყოებითაა აღჭურვილი. კოლონაში ზოგჯერ ორი და მეტი ასეთი ლიმუზინია. რამდენიმე მათგანი უწინარესად, სათადარიგოები, თანაც, არავინ უნდა იცოდეს, თუ რომელ მათგანში იმყოფება პრეზიდენტი. ამ მიზნით ლიმუზინები გამუდმებით ცვლიან ადგილებს, ზოგჯერ ნომრებსაც კი იცვლიან. ლიმუზინების მძღოლები მანქანის ექსტრემალური მართვის სპეციალისტები არიან. პრეზიდენტის ავტოპარკში, ჩვეულებრივ, 12-16 ასეთი ლიმუზინია, რომლებიც მისი ხანგრძლივი მოგზაურობების დროს ვიზიტის ადგილებში წინასწარვე ჩაჰყავთ.

5. უშიშროების სამსახური. პრეზიდენტის კორტეჟის ეს ქვედანაყოფიც, რომელსაც ამერიკელები განსაკუთრებით ეთაყვანებიან, „შევროლე საბარბანით“ გადაადგილდება. ამ მანქანის კოლონაში გამორჩევა საკმაოდ ადვილია — მასზე პოლიციის აღმნიშვნელი შუქები და სახურავზე დამატებითი ფარებია დამონტაჟებული. ფანჯრების მინები მუდამ ჩამოწეულია, რაც, საჭიროების შემთხვევაში, მეავტომატეებს საქმეს გაუადვილებს.

6. რადიოელექტრონული უსაფრთხოების ავტომანქანა. ეს „შევროლე საბარბანის“ მარკის კიდევ ერთი ავტომანქანაა, ოღონდ პოლიციური ნიშნების მაგივრად სახურავზე მას ანტენები აქვს დადგმული. ის პრეზიდენტის მარშრუტზე ყველა შესაძლო სიგნალის დახშობაზეა მიმართული. ამ მანქანის არსებობა უპილოტო საფრენი აპარატის ან მართვადი რაკეტის გამოყენებით პრეზიდენტზე თავდასხმას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

7. სწრაფი რეაგირების სამსახური. ჭეშმარიტი „რემბოებიც“ „შევროლე საბარბანით“ გადაადგილდებიან, მათი ამოცანაა ბრძოლაში ჩაბმა, თუკი პრეზიდენტი სასწრაფოდ სახიფათო ზონიდან იქნება გასაყვანი. გარეგნულად მისი გამოცნობა საბარგულის ფანჯრების ჩამოწეული მინებით და მოსახსნელი ფეხზე დასადგომებით შეიძლება, რომელთა დახმარებით აგენტს ბრძოლა მოძრავ მანქანაზე გარედან დაკიდებულს შეუძლია.

8. დაზვერვის ავტომანქანა. ესაა საკოორდინაციო ცენტრი, რომელიც კორტეჟის მთელი სვლაგეზის გაყოლებაზე მთლიან სურათს „ხედავს“, ყველა წყაროდან, მათ შორის თანხლების ვერტმფრენებიდან და უპილოტო საფრენი აპარატებიდან მიღებულ ინფორმაციას ერთიანად უწევს კოორდინირებას. მას ადგილობრივ პოლიციასთან და სპეცსამსახურთან საგანგებო კავშირი აქვს. ისიც ადვილი გამოსაცნობია, რადგან, როგორც წესი, ესაა კომერციული საბარგო მანქანა ან ფურგონი.

9. იარაღისა და სახიფათო მასალათა საწყობი. როგორც წესი, ეს „ფორდის“ ან „შევროლეს“ ბაზაზე აწყობილი ბორბლებიანი არსენალია, რომელშიც იარაღის დიდი მარაგია. მასშივე დასაწყობებულია შესაძლო ქიმიური შეტევის ნეიტრალიზების საშუალებები.

10. კომუნიკაციის ავტომანქანა. უცნაური შესახედი კიდევ ერთი „შევროლე საბარბანია“, რომელზეც თანამგზავრული კავშირგაბმულობის უამრავი ანტენაა დადგმული. ის პრეზიდენტს ყველა სახეობის, მათ შორის ინტერნეტკავშირით უზრუნველყოფს. იქვეა მოთავსებული დასაშიფრი მოწყობილობები.

11. დამხმარე პერსონალის ავტომანქანა. ასეთი რამდენიმე ავტომობილია — მათ შორის, ცალ-ცალკე პრეზიდენტის მეუღლისთვის, შვილებისთვის, მინისტრთა კაბინეტის გაყოლებული წევრებისთვის, ექიმებისთვის, კონსულტანტებისთვის, სამხედრო კრიზისის შემთხვევისთვის უფროსი ოფიცრებისთვის. სავარაუდოდ, იქვე იმყოფება პრეზიდენტის ბირთვული ჩემოდანიც.

12. პრესა. ამ მანქანით მხოლოდ პრეზიდენტის ამალაში დაშვებული „კარის“ ჟურნალისტები და პრესმდივნები გადაადგილდებიან. კორტეჟის ეს ნაწილი, რომელიც შესაძლოა რამდენიმე ავტომანქანისგან შედგებოდეს, ფურგონს ან მიკროავტობუსს წარმოადგენს და, ჩვეულებრივ, კოლონის ბოლოში მოძრაობს.

13. სასწრაფო დახმარება. იმისთვისაა საჭირო, თუ პრეზიდენტს რაიმე შეემთხვევა და სტაციონარულ კლინიკაში მისი გადაყვანის ოპერატიული შესაძლებლობა არ არის.

14. ჩამკეტი დაცვა. მართალია, პრეზიდენტზე შეტევის მიტანას უფრო წინიდან ან გვერდებიდან ელიან, მაგრამ დაუცველად ხომ არც ზურგის დატოვება შეიძლება? ეს, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო კორტეჟის უკანა ბუფერია, რომელიც მანქანებით და მოტოციკლეტებით მოძრაობს.

ბოლოს კი იმის თქმა შეიძლება, რომ ისინი, ვისაც საპრეზიდენტო კორტეჟი „ცოცხლად“ უნახავს, ყურადღებას მიაქცევდნენ, რომ ის გაცილებით გრძელია. საქმე ისაა, რომ ზემოჩამოთვლილ ავტომანქანებს, როგორც წესი, ადგილობრივი პოლიციისა და სპეცსამსახურების მანქანებიც უერთდება.

მოამზადა
ᲝᲗᲐᲠ ᲢᲣᲠᲐᲑᲔᲚᲘᲫᲔ

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის
განცხადება

ქვეყნდება „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2017 წლის 26 ივლისის №1-1/329 ბრძანების შესაბამისად

2014 წლის 4 ნოემბერს საქართველოს მთავრობასა და კომპანია „Pomagalski" შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ქ. ჭიათურაში მიმდინარეობს 4 რევერსული გონდოლებიანი საბაგირო გზის მშენებლობა.

ჭიათურის საბაგირო ადგილობრივი მოსახლეობის ძირითადი სატრანსპორტო საშუალება, რომლითაც 10 000 მეტი პირი სარგებლობს. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჭიათურის საბაგირო გზის 4 მონაკვეთს უნდა ჩაუტარდეს ჯამური სიგრძე 2,5 კილომეტრია. რეაბილიტირებული საბაგირო გზები ქალაქის ცენტრის გარეუბნებთან დააკავშირებს. მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ უძრავი ქონების მესაკუთრეების ნაწილთან ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ შეთანხმება იქნა მიღწეული. მოლაპარაკების წარმოების მიუხედავად შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული პროექტის ზემოქმედების არეალში არსებულ ქ. ჭიათურაში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №93 მდებარე დემურ გველესიანისა და ციური ქოქოშვილის თანასაკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ს/კ 38.10.44.029 და მათთან მედიაციის ყველა რესურსი ამოწურულია.

2017 წლის 26 ივლისს გამოიცა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის №1-1/329 ბრძანება, რომლის შესაბამისადაც ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (ბრძანება გამოქვეყნებულია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე)

იმის გათვალისწინებით, რომ ჭიათურის საბაგიროს მშენებლობა წარმოადგენს აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას, სახელმწიფოს აღნიშნულ პროექტის ფარგლებში ესაჭიროება დემურ გველესიანისა და ციური ქოქოშვილის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება - მიწის ნაკვეთი, მასზე არსებული შენობა-ნაგებობა და ნარგავები 142 კვ.მ (ს/კ 38.10.44.029); მის: ქ. ჭიათურა, დავით აღმაშენებლის ქუჩა №93.

უძრავი ქონების მესაკუთრეს დამატებით ეცნობებათ სასამართლოში განცხადების შეტანისა და სასამართლო განხილვის თარიღი.

„ღიმილი და ცრემლი ერთად“...

რა დაუწერა ვახუშტი კოტეტიშვილმა კარლო ფაჩულიას?

ძუთაისში, ზაქარია ფალიაშვილის სახლში, კათოლიკური ეკლესიის გვერდით დაიბადა. მერე იმ სახლში მუზეუმი გაიხსნა და ოჯახს სხვაგან მისცეს ბინა. თემურ აბულაშვილმა იხუმრა: მუზეუმი რომ არ გაეკეთებინათ, აქ ცნობილი პიროვნება კიდევ დაიბადებოდაო...

სკოლა 1958 წელს დაამთავრა, ორი წელი სკოლაში ხატვას ასწავლიდა, სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებამდე გაიცნო მომავალი მეუღლე, შემდეგში ცნობილი მხატვარი ნინო ზაალიშვილი და სტუდენტობიდან დაწყებული მათი ცხოვრების გზა აღარ გაყრილა...

1964-70 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის გრაფიკის განყოფილებაზე; შემდეგ იყო სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის შემოქმედების სახელოსნო (1972-1975).

6 პერსონალური გამოფენის ავტორია. ნოიე გრანდენბურგი, გერმანია (1973); „ძველი გალერეა“, თბილისი (1998); „ომეგა“, ნიკო ლორთქიფანიძის ილუსტრაციები (2002); გალერეა „ვარლა“, ქუთაისი (2008); დუშეთის კულტურის სახლი (2010). ლიტერატურის მუზეუმი (2016).

არის ილია ჭავჭავაძისა და დავით კაკაბაძის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი.

— გრაფიკოსისა და ფერმწერის კარლო ფაჩულიას პერსონა. — წინაპრები...

— მამის მამა, ბაბუა ეგნატე 1924 წელს დაუხვრეტიათ. რომელსაც ბოლშევიკობა-მენშევიკობის არაფერი გაეგებოდა, 4-ოთახიანი ბინა ჰქონია თბილისში, ვიღაცას ჩაუშვია და, როგორც მაშინ ხდებოდა, წაურთმევიათ. ბებიას და ბაბუას 4 შვილი ჰყავდათ. ბებია ლიზას შეეშინდა, შვილები არ დამიხვრიტონო, წაუყვანია ისინი — მამაჩემი, ბიძა და კიდევ ორი მამიდა და ქუთაისში დაქირავებულ ბინაში დაუწყია ცხოვრება.

მამაჩემი იმ დროს 14-15 წლის იქნებოდა...

ბიძა ორიოლში სავალდებულო სამსახურში მსახურობდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ჩემს ძმას ბიძის სახელი - ვლადიმერი, ვოვა დაარქვეს. მე მამის სახელი მქვია. მამა ავტინჟინერი და ოფიცერი იყო, 33 წლის ასაკში ომში დაიღუპა, მე რომ დავბადებულვარ, მოუწერია, კარლო დაარქვითო. რამდენიმე თვეში დაიღუპა კიდეც...

დედამ ქუთაისში გაგვზარდა, ჩვენს სახლში კიდევ დედის დედა, დეიდა და ბიძა ცხოვრობდნენ, დედამ — მარიამ ქუთათელაძემ მარტოხელამ გაგვზარდა ქუთაისში.

დედაჩემის დედამ, ბებიაჩემმა ელენემ, კითხვა არ იცოდა, პენსიას რომ მოუტანდნენ (მაშინ სახლებში მოჰქონდათ პენსია), მე და ჩემს ძმას ხელს გვაწერინებდა ხოლმე, იქიდან 5-5 მანეთს გვაძლევდა. ასე რომ, დედის დედასთან გავიზარდე. ბებია არსად მუშაობდა, მე რომ დავიბადე, ბაბუა იმ წელს გარდაიცვალა...

სკოლა რომ დავამთავრე, მეექვსე წელს მოვეწყვე აკადემიაში...

— რა დაგამახსოვრდათ სტუდენტობიდან?

— აკადემიაში პირველკურსელებს ფიზკულტურას მასწავლებელი ლევან გაჩავა გვასწავლიდა. აკადემიის მაღლივი კორპუსის მშენებლობა მიდიოდა. ახალი დაწყებული იყო და პირველკურსელებს გვიბარებდნენ მისახმარებლად.

ერთ დღესაც ვხედავ, ლევან გაჩავა ვიღაც უცნობს ჭადრაკს ეთამაშება. მე ბავშვობიდან ვთამაშობდი ჭადრაკს და ვურჩიე სვლა... დაკვირვებით შემომხედა და მითხრა, დაჯდები და ვნახავ, რა მოთამაშეც ხარო. მოუგო იმ კაცს და მითხრა, ახლა შენ დაჯექიო... და ვუგებ... მეკითხება, რა გვარი ხარო? ფაჩულია-მეთქი. იმ კარლო ფაჩულიასი რა ხარ, მე რომ ვიცნობდიო, მამაჩემზე მეკითხება... შვილი-მეთქი, მოვიდა და გადამკოცნა. მე და მამაშენი ორჯონიკიძეში მანქანის ბორტზე ყირების გაჭიმვაში ვეჯიბრებოდით ერთმანეთსო. მერე სხვა ნაწილში გადაიყვანეს. ბიჭებმა მოიტანეს ამბავი, დაბომბვაში მოჰყვაო. მამაჩემი რომ დაიღუპა, 6 თვის ვიყავი, ომში მოხალისედ წავიდა... ჯავშანი იცავდა და შეეძლო, არ წასულიყო...

— რომელმა ადამიანმა დატოვა განსაკუთრებული კვალი თქვენს ცხოვრებაში?

— ნინო ზაალიშვილმა, უზომოდ განათლებული იყო, ერთად ჩავაბარეთ სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაკულტეტზე.

ძალიან ბევრი რამ იცოდა და სულ სხვებისთვის ზრუნავდა... გამოფენების მოწყობაში ეხმარებოდა, მატერიალურადაც მეგობრებს, ახლობლებს...

უნიჭიერესი მხატვარი და შემფასებელიც იყო. მე რომ რამეს დავხატავდი, მისთვის რომ არ მეჩვენებინა, არ შეიძლებოდა. ვაჩვენებდი, შენიშვნას რომ მომცემდა, ვბრაზდებოდი, დრო გავიდოდა, ახლებურად შევხედავდი ნახატს, მივხვდებოდი, რომ მართალი იყო...

* * *

მოსაგონარი ბევრი აქვს მხატვარს... სად აღარ უმუშავია... გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ჟურნალ „ომეგას“ და „ჩვენი მწერლობის“ მხატვრული რედაქტორი იყო... „ლიტერატურული საქართველო“, ტელევიზიის პირველი არხი... პარალელურად წიგნებს მხატვრულად აფორმებდა და გამოფენას გამოფენა მოსდევდა...

— იმ დროს გამომცემლობა „მერანში“ ვმუშაობდი, მაშინ ვახტანგ ჭელიძე ახალი დანიშნული იყო „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორად. ერთ დღეს მოვიდა „მერანში“, რომლის მთავარი რედაქტორიც იყო რევაზ მარგიანი. მე პირველ სართულზე გამოფენას ვათვალიერებდი და ამ დროს ვახტანგი კიბეზე ჩამოდიოდა. რომ დამინახა, კარლოო, დამიძახა. მივედი: კარლო, იცი, ჩემთან მინდა იმუშავოო.ბატონო ვახტანგ, აქ ვმუშაობ და უხერხულია, თავს ხომ არ დავანებებ- მეთქი. მოიფიქრე, ერთ კვირას გაძლევ ვადას. მოდი ჩემთან და მითხარიო... ერთი კვირის მერე მივედი და თამაზ ბიბილური იყო ვახტანგის ოთახში... ლაპარაკობდნენ. რა ქენი, რა მოიფიქრეო, მე ვუთხარი, ბატონო ვახტანგ, ვმუშაობ და თავს ვერ დავანებებ, უხერხულია-მეთქი....



კარლო ფაჩულია შვილიშვილებთან

ქალბატონი ნინო

მაშინ ნახევარ შტატზე გააფორმეო, თამაზს უთხრა. მან უპასუხა: ნახევარ შტატზე იგივე საქმე უნდა გააკეთოს, რაც მთლიან შტატზე და მთლიან შტატზე რომ იყოსო?

კარგი, გააფორმე მთლიან შტატზეო... მაშინ ორ ადგილზე მუშაობა არ შეიძლებოდა და მაინც ვმუშაობდი... არც იქ და არც იქ ხელის მოწერას მისვლაზე და წამოსვლაზე არ მთხოვდნენ. „მერანში“ ვიყავი და როცა გაზეთი უნდა გამოსულიყო, მივდიოდი იქ. ორ ადგილზე ვიღებდი ხელფასს.

მერე ისე მოხდა, რომ მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ ნოდარ ჯანბერიძემ დამირეკა, წიგნის გაფორმება მინდაო. რომ დავასრულე მუშაობა, მოულოდნელად გავიგე, თავის სამსახურში შტატიან თანაშრომლად გავუფორმებივარ...

იქიდან დამირეკეს, ხელფასი გაქვს ასაღებიო, ასე გავიგე ეს ამბავი...

ერთი წლის განმავლობაში სამ ადგილზე ვღებულობდი ხელფასს. ხილიანზე, ამ სახლს სხვანაირად როგორ ავიშენებდი? კოოპერატიული ბინაა. ყოველ კვარტალში საფასურს ვიხდიდი...

— ვახუშტი კოტეტიშვილმა ლექსი მოგიძღვნათ...

— ვახუშტიმ ჩემზე ლექსი დაწერა: ჩემი მეგობარი იყო, რედაქციაში და სახლშიც გვპატიჟებდა. ვქეიფობდით ერთად.

ჩემს მეგობრებს ჭობის ვეძახდი, ქუთაისიდან მომყვება, იქ ჩემი მეგობარი ყველას ჭობის გვეძახდა. მერე თბილისში რომ ჩამოვედი, მე ვეძახდი ჩემს ძმაკაცებს ასე.

აი, ეს ლექსი:

„მე გისურვებ, ჩემო ჭობი,
რომ სმა იყოს შენი ჰობი,
გელაღოს და გექეიფოს,
არ მოგედოს ხავსი, ობი...
შენს აივნელ მეგობრებთან
მუდამ სავსე გედგას გობი,
ქვეყნად იმან არ იხაროს,
თუ ვინმეა შენი მგმობი...
ჭადრაკში შენ ყოფილიყავ
ჩუბჩიკას და ზეზვას მჯობი,
უსახლკარომ ლექსის მეტი
რა მოგიძღვნა, ჩემო ჭობი“...

აქ, ჩემთან სტუმრად იყო ერთხელ ვახუშტი... შეხედა კედელს და იკითხა: ამ კედელზე ვისი ნამუშევრებიაო? ჩემი-მეთქი, იმ კედელზეო? ნინოსი -მეთქი... არც დაფიქრებულა, ისე თქვა:

„იქით კედელზე ნინოა,
აქეთ კედელზე ჭობია,
ნეტავი გამაგებინა,
რომელი რომელს ჯობია?“

ასე ხუმრობა-ხუმრობასა და საქმეში დრო გადიოდა. აფორმებდა წიგნებს... მის მიერ 300-ზე მეტი ილუსტრირებული წიგნი გამოიცა.

ალექსანდრე ყაზბეგი, იაკობ ხუცესის „წამებაი წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, ნიკო ლორთქიფანიძე, თამაზ ბიბილური...

დავით მჭედლურის სიტყვები მახსენდება: „კარლო ფაჩულიას ილუსტრაციებში, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულის სახეა, ოსტატის ხელით გაცოცხლებული. განსაკუთრებით მომხიბლავია ნიკო ლორთქიფანიძის როგორც პორტრეტი, ასევე მისი „თავსაფრიანი დედაკაცი“...

ამასობაში კარლო ფაჩულიამ მრავალი სერია შექმნა. გამოვყოფდი სერიას — „ჩემი ებრაელი მეზობლები.“

— ქუთაისში, სკოლაში თითქმის ნახევარი კლასი ებრაელები იყვნენ. ჩემს ქუჩაზე ბევრი ებრაელი ცხოვრობდა. კარგი ხალხი იყო, ცუდი არაფერი მახსოვს. მათ მივუძღვენი სერია, დაახლოებით 20 ნამუშევარი... და პერსონალური გამოფენაც მქონდა. დავხატე ებრაულად „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელი გაპონოვი, ასევე ბავშვობიდან მახსოვს ებრაელი ფოტოგრაფი, ჩიტი გამოფრინდებაო, ამბობდა ხოლმე... მსუბუქი ყოფაქცევის ქალი — ფანფორა ფისოსთან ერთად...

მხატვრის სახელოსნოში ვათვალიერებ სვანეთზე შექმნილ სერიას... ასევე „ძველი თბილისის“ ნახატებს... ქუთაისის რიონის სანაპიროს.. ტუშით და კალმით იქმნება ორიგინალური ჩანახატები, კარლო ფაჩულიასეული თავისთავადი ხელწერით...

როგორც რეზო ესაძემ თქვა, ამ მშვენიერ სიჩუმეში და ცინცხალ სიწმინდეში... როგორც სალოცავი ხატის წინ, — აღმოვჩნდი... სავსე ვარ, რით? აბა, რა ვიცი, ეგ რომ ვიცოდე, ასეც არ ვიქნებოდი. როგორც ჩვილის შეხებისას თუ ცქერისას ჩნდება ღიმილი და ცრემლი ერთად“.

— ახლანდელ თბილისში რას დახატავდით?

— არაფერს არ დავხატავდი, ახლა რომ აშენებენ, ის სახლები მომწონს, ძველი აშენებული სახლები ერთმანეთს ჰგავს, ახლებს კარგად აშენებენ...

ძველი თბილისი მხატვრისთვის უფრო საინტერესოა, 16-სართულიანები რა დასახატია, მე უფრო ადამიანებს ვხატავ, ეს უფრო საინტერესოა მხატვრისთვის... უამრავი ესკიზი გავაკეთე კიდეც.

დავხატე ქუჩაში მოვაჭრე, ასევე — თბილისის კოლორიტი ნახალოვკელი მარინა...

* * *

ბატონი კარლო მეუღლის — ნინო ზაალიშვილის საბავშვო მოთხრობების წიგნს მიწვდის — „ანამარია, ჭიამაიას ჭრელ-ჭრელი ამბები“... მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გამოიცა ეს კრებული, მაკეტი სიცოცხლეშივე გაკეთებული ჰქონია. კრებულს შვილიშვილებს — ბარბარესა და ქეთევანს უძღვნის...

ძნელია მეუღლის გარეშე ცხოვრება, სევდას და მარტოობას შემოქმედება და შვილიშვილები უქარვებენ. შვილი ირაკლიც გრაფიკოსი და იურისტია სპეციალობით. მანაც აკადემია დაამთავრა...

ახლახან კარლო ფაჩულიას მიერ გაფორმებული ახალი წიგნი გამოვიდა: რეზო ჭეიშვილის „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი“.

ხოლო როსტომ ჩხეიძემ დაწერა: კარლო ფაჩულია იმ მხატვრებს განეკუთვნება, წიგნს ჭეშმარიტი კრიტიკოსებივით რომ კითხულობენ და კარგად იციან თითოეული ნიუანსის ფასიო... კარლო ფაჩულია ილუსტრატორიცაა და ინტერპრეტატორიც!

ილუსტრატორიცაა და კრიტიკოსიც! ილუსტრატორიცაა და მწერლის მესაიდუმლეც!

„ინტერპრეტატორი, კრიტიკოსი და მესაიდუმლეა „შალიკო ხვინგიაძის თავგადასავლის“ გაფორმების დროსაც, ასერიგად რომ გიზიდავს და კვლავ და კვლავ მიგაბრუნებს თავისკენ, მოთხრობის ჩამთავრების შემდეგ კი საგანგებოდ ჩაუკვირდები ნახატებს, სიხალისითაც რომ აღბეჭდილან, მომხიბლავი კომიზმითაც და ჩუმი, გაუმხელელი სევდითაც, და აქაც ვეღარ გაგიმიჯნავს, სად იწყება სევდა და სად — სიცილი“...

და ეს განცდაა სწორედ ჭეშმარიტი დღეასწაული, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ დიდი მხატვრისაგან მოგვრილი განცდა ბადებს....

თამარ შაიშმელაშვილი

„თქვენ კარლო ვინ გგონიათ? იგი დიდი მხატვარია, დიდი მხატვარი!“
თენგიზ მირზაშვილი

◎ წინ, საქართველოვ!

ცხრა მედალი და მე-11 ადგილი

4 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“ და 4 „ბრინჯაო“ — ასეთი ნადავლით დაასრულეს უნგრულ დიორში გამოსვლა ქართველმა სპორტსმენებმა ევროპის ახალგაზრდობის მე-14 ოლიმპიურ ფესტივალზე. განსაკუთრებით ძიუდოისტებმა იყოჩაღეს. მათს ანგარიშზეა რვა მედალი. ოთხი ჯილდო ჩვენებმა ასპარეზობის ბილო დღეს დაიმსახურეს: კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ სოფიო სომხიშვილი (+73 კგ) და მიხეილ ბექაური (90 კგ), ხოლო ლევან ჭელიძესა (+100 კგ) და ვაჟთა ნაკრებს გუნდურში მესამე ადგილები ხვდათ. ევროპის ჩემპიონმა სომხიშვილმა სტარტზე ფრანგი კრისტალ გარსია ვაზარით დაამარცხა, მეორე წრეში იპონით მოუგო გერმანელ ლეა სტეინს, ნახევარფინალში ჰოლანდიელი მარიტ კამპსი დაჯაბნა იპონით, გადამწყვეტ პაექრობაში კი ლიტველი ჯასტინა მიალაუსკაიტე დაამარცხა ვადამდე .

ბექაურმა ფინალამდე ზედიზედ სძლია ლიტველ დეივის კიაუსიონასისს, კოსოვოელ ზეკა შპატსსა და აზერბაიჯანელ ადილ კარიმლის, ოქროსთვის პაექრობაში კი სლოვაკი დენის ტურაჩის გზიდან ჩამოსაშორებლად 15 წამი იკმარა. ჭელიძემ სამი ორთაბრძოლის მოგების შემდეგ ნახევარფინალი მომავალ უნგრელ ჩემპიონ რიჩარდ სიპოზთან დათმო, ხოლო. ბრინჯაოსთვის შეხვედრაში სლოვაკ ტიმ კელცს აჯობა. გუნდურში ვაჟთა ნაკრები ნახევარფინალში რუსეთთან დამარცხდა, ბრინჯაოსთვის პაექრობაში კი ესტონეთს მოუგო 5:0.

უნგრულ დიორში საქართველოს სპორტულ დელეგაციას ერთი ბრინჯაო ფოთელმა ნიჩბოსანმა გია გაბედავამ შეჰმატა. ერთადგილიანი კანოეთი პაექრობისას მან კვალიფიკაციაში 44,394 წამით პირველი გაცურვა მოიგო, მეორე ეტაპსა (45,254) და ნახევარფინალში (44,031) მეორე იყო, ფინალური ორთაბრძოლისას კი ფინიშის ხაზი მესამემ გადაკვეთა (44,450) და ბრინჯაოს მედალი ერგო. ოქრო და ვერცხლი, შესაბამისად, მანუელ ფონტან სენორანსმა (ესპანეთი, 43,380) და ბენედიქტ ჰორვატმა (უნგრეთი, 43,700) გაინაწილეს.

ამდენად, საქართველოს სპორტსმენებმა 2017 წლის ოლიმპიური ფესტივალი 9 მედლით დაასრულეს, რამაც ჩვენებს არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მე-11 ადგილი მოუტანა: *1.რუსეთი — 61 (30 ოქრო, 19 ვერცხლი, 12 ბრინჯაო), 2. იტალია — 38 (14, 11, 13), 3. უნგრეთი — 41 (13, 14, 14), 4. ჰოლანდია — 16 (8, 6, 2), 5. ესპანეთი — 15 (7, 4, 4), 6. გერმანია — 17 (5, 8, 4), 7. თურქეთი — 19 (5, 6, 8), 8. საფრანგეთი — 16 (5, 6, 5), 9. ბელგია — 7 (5, 0, 2), 10. ფინეთი — 11 (4, 1, 6), 11. საქართველო - 9 (4, 1, 4), 12. ბელარუსი — 15 (3, 5, 7), 13. უკრაინა — 8 (3, 4, 1), 14. პოლონეთი — 10 (3, 3, 4), 15. სლოვენია — 7 (3, 2, 2).* სულ მედლები 50-დან 38-მა ქვეყანამ გაინაწილა.

ლექსო ცინცაძე

ჭაბუკთა ევროპული ალაფი

სარაევოში დამთავრდა ჭაბუკ ფალავანთა ევროპის პირველობა. უკვე ვწერდით, რომ საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა ხუთ წონაში მოიპოვეს მედლები (გიორგი ჭოლაძესა (42 კგ) და გიორგი გეგელაშვილს (46 კგ) — „ოქრო“, ვლადიმერ გამყრელიძეს (54 კგ) — „ვერცხლი“, თორნიკე ქათამაძესა (58 კგ) და დავით ქოჩქიანს (85 კგ) „ბრინჯაო“ ერგოთ) და საერთო გუნდურ ჩათვლაში 29 ქვეყნის ნაკრებებს შორის მე-4 ადგილი დაიკავეს.

მერე ხალიჩა გოგონებს დაეთმოთ. ქართველთაგან 40 კილოგრამ წონით კატეგორიაში მარიამ კარელიძემ საქართველოს ისტორიული ბრინჯაოს მედალი მოუტანა. სტარტზე მან ბელარუს ვალერია იაკუტას სძლია (6:0). მერე ფრანგ ჟუსტინ ფანი ვიგოსთან შეხვედრა ფრედ (1:1) დაასრულა. ბოლო ქულის წყალობით გამარჯვება ფრანგს ხვდა. დამამშვიდებელში მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლა კარელიძემ უკრაინელ მარია კოვალენკოს მოუგო (8:2).

ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ასპარეზობის პირველ დღეს საქართველოს ნაკრებმა ოქროსა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. 58 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა გიორგი შოთაძე, ხოლო აკაკი ოსიაშვილმა (50 კგ) და დავით სოლოღაშვილმა (69 კგ) მესამე ადგილები დაიკავეს.

ევროპისა და მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა შოთაძემ ჯერ პოლონელ კშიშტოფ შტეფანის (11:0), უნგრელ რაიმონდ ფარკაშს (4:1), სომეხ აშოტ კირაკოსიანს (5:2) და აზერბაიჯანელ ჰასან მამადლის (4:1) აჯობა, გადამწყვეტ პაექრობაში კი თურქი მუსტაფა ილდირიმი 3:1 დაამარცხა.

ოსიაშვილმა საფრანგეთის ნაკრების წევრი მუჰამედ სანგარიევი (8:0), აზერბაიჯანელი ასგარ ალიზადე (5:2) და ბულგარელი იორდან ნეზატი (10:0) იოლად ჩამოიშორა გზიდან, ნახევარფინალში მომავალ ჩემპიონ გუსეინ გუსეინოვთან (რუსეთი) დამარცხდა (3:7), რეპეშაჟის გადამწყვეტი პაექრობა კი რუმინელ მანუელ სტოიცას მოუგო (8:6).

სოლოღაშვილმა პირველ წრეში გერმანელ მარკ ფიშერთან მოიპოვა გამარჯვება (5:0), მაგრამ მერვედფინალში რუსეთის ნაკრების წევრ რუსლან მოშიანთან ვერაფერს გახდა (6:8). სამაგიეროდ, დამამშვიდებელში იყოჩაღა — სლოვაკი ნიკოლას ჰულმანი (10:0), დანიელი ლუკას ჰოიერ-იენსენი (4:3) და ნორვეგიელი სამეთ ჩეთინი (5:1) დაჯაბნა.

შეჯიბრების მეორე დღეს 54 კილოში ბექა გურულმა ლიტველი ვილიუს სავიცკასი (9:0), თურქი კადირ კამალი (6:4) და ნორვეგიელი სონდრე სვარატადი (8:0) ჩამოიშორა გზიდან, ფინალში კი უკრაინელ მიროსლავ სოლოვიანს სძლია და ჩემპიონობა მოიპოვა.

მსგავს წარმატებამდე ერთი გამარჯვება დააკლდა გიორგი ცოფურაშვილს (76 კგ), რომელმაც გადამწყვეტი პაექრობა რუს აუეს გონიბოვთან დათმო. ფინალამდე ჩვენებურმა ხორვატი კარლო კოდრიჩი (5:1), ესტონელი რაულ ლეიტამი (3:0), უნგრელი იშტვან ტაკაში (4:2) და პოლონელი სზიმონ სზიმონოვიჩი (7:2) დაამარცხა.

ოთარ აბულაძემ (63 კგ) ძირითად ბადეში იტალიელ ფრანკო აბაცისა (9:0) და უკრაინელ დმიტრო მიროშნიკს (9:4) აჯობა, მეოთხედფინალში რუს არტემ ეროხინთან წააგო (4:13), მაგრამ დამამშვიდებელში იმარჯვა და მესამე ადგილზე გავიდა.

ლაშა დიდია

◎ ჭადრაკი

ბაადურ ჯობავამ ყველას აჯობა

დანიურ ჰელსინგერში დამთავრდა მოჭადრაკეთა დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 33 ქვეყნის 433 წარმომადგენელი მონაწილეობდა. პირველობისთვის ქართველი დიდოსტატი ბაადურ ჯობავაც იბრძოდა. შვეიცარიული სიტემით 10 ტურად გამართულ შეჯიბრებაში მან შვიდი პარტია მოიგო, სამი ყაიმით დაასრულა და 8.5 ქულით მთავარი პრიზი დაიმსახურა. მესამე ტურში ნორვეგიელ იოჰანეს ჰაუგთან ზავის შემდეგ ჩვენებურმა ზედიზედ ხუთი პარტია მოიგო, მათ შორის - ინგლისელ ნაიჯელ შორტსა და ხორვატ მარინ ბოსიოჩიჩთან, მეცხრე ტურში ასპარეზობის რეიტინგ-ფავორიტ ნიკიტა ვიტიუგოვს (რუსეთი) შეუთანხმდა ყაიმზე, ბოლო ტურში კი ხორვატ ივან შარიჩთან დიდოსტატურ ყაიმს (მე-14 სვლაზე) დასჯერდა. მეორე-მეხუთე ადგილები 8-8 ქულით, მაგრამ უკეთესი რეიტინგის გათვალისწინებით ინდოელმა კრიშნან შაშიკირანმა, ინგლისელმა ნაიჯელ შორტმა, ნიკიტა ვიტიუგოვმა და ივან შარიჩმა გაიყვეს.

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

აქეთურ - იქითური

საქართველოს XXIX ჩემპიონატი. ეროვნული ლიგის XX ტური. „ლოკომოტივი“ — „დინამო“ 3:1, შუქურა“ — „ტორპედო“ 1:2, „სამტრედია“ — „ჩიხურა“ 3:0, „კოლხეთი“ — „საბურთალო“ 0:0, „დილა“ — „ბათუმი“ 1:2.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 46, „ტორპედო“ — 43, „სამტრედია“ — 39, „ლოკომოტივი“ — 30, „ჩიხურა“ — 29, „საბურთალო“ — 26, „ბათუმი“ — 23, „დილა“ — 22, „კოლხეთი“ — 18, „შუქურა“ — 7 ქულა.

ბომბარდირი: სიხარულიძე („ლოკომოტივი“) — 15 გოლი.

შემდეგი ტური: „დინამო“ — „დილა“ (4 აგვისტო), „ბათუმი“ — „სამტრედია“, „ტორპედო“ — „კოლხეთი“ (5 აგვისტო), „ჩიხურა“ — „შუქურა“, „საბურთალო“ — „ლოკომოტივი“ (6 აგვისტო).

საფრანგეთის სუპერთასი. *„პსჟ“ — „მონაკო“ 2:1.*

ამხანაგური მატჩები. *„ბარსელონა“ — „რეალი“ 3:2, „ჩელსი“ — „ინტერი“ 1:2, „სიტი“ — „ტოტენჰემი“ 3:0, „რომა“ — „იუვენტუსი“ 1:1 (პენალტებით — 4:5).*

გიორგი შოთაძე

◎ სამზადისი

იქნებ წაგებამაც გვარგოს!

როგორც მოგეხსენებათ, ევრობასკეტისთვის მოსამზადებელი საწვრთნელი შეკრება საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა 16 ივლისს გუნდის კაპიტან ზაზა ფაჩულიას გარეშე დაიწყო, რომელიც პარტნიორებს რამდენიმე დღეში, ბიჭების ლიტვიდან თბილისში დაბრუნების შემდეგ შეუერთდება, სადაც ისინი ოთხთა საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ: 4 აგვისტო: საქართველო — ლატვია, ლიტვა — პოლონეთი.

ბალტიისპირეთში ვიზიტამდე „ჯვაროსნებმა“ სლოვენიიდან გზად ავსტრიაში შეიარეს და ობერვარტში მასპინძლებთან ჭკუის სასწავლებელი სპარინგ-მატჩი გამართეს.

ავსტრია — საქართველო 87:77.
(20:28, 26:19, 19:20, 22:10)

ოქმიდანაც ჩანს, რომ ილიას ზუროსის შეგირდებმა დასკვნითი მეოთხედი ჩააგდეს. ეს არცაა გასაკვირი — ბუნებრივია, ორკვირიანი ოფლისღვრა სრულიადაც არაა საკმარისი მთელი შეხვედრის ერთი ამოსუნთქვით ჩასატარებლად მაშინ, როცა მეტოქე მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის სამზადისს გაცილებით ადრე შეუდგება და ხვალ სადებიუტო ბრძოლას ალბანეთთან მოაწყობს.

მართალია, ჯერჯერობით ფიზიკურ კონდიციებში მოვიკოჭლებთ, მაგრამ გარკვეულ ეპიზოდებში ტრავმირებული ერთ-ერთი ლიდერის — ვიქტორ სანიკიძის გარეშე დარჩენილი ანსამბლის ღირსებებიც წარმოჩინდა, რაც, დარწმუნებულნი ვართ, მომავალი ფორუმის მოახლოების პარალელურად, კიდევ უფრო შეუქცევადი პროცესის სახეს მიიღებს.

საამისო რესურსი რომ გაგვაჩნია, ჩვენს თანამემამულეთა პირადი მონაგარიც ადასტურებს: ***შენგელია — 22, შერმადინი — 18, ცინცაძე — 10, სანაძე — 8, დიქსონი — 8, მარკოიშვილი — 5, ბითაძე — 4, ლონდარიძე — 2 ქულა.***

ვიტალი ჯაფარიძე

5 საწარმოს პროცესი შეუჩერდა და 2 დაჯარიმდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ უფასო სასადილოების შემოწმებისას გამოვლენილი შეუსაბამობების გამო, 5 საწარმოს პროცესი შეუჩერა და 2 დააჯარიმა. ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი ავრცელებს.

„ახალი საქართველოს“ ლიდერის გიორგი ვაშაძის განცხადებით, სასადილოები მას შემდეგ შეამოწმეს, რაც მათ უფასო სასადილოების კომპლექსური შემოწმება დაიწყეს.

ბრალდებას სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა უპასუხეს. მათი განმარტებით, შემოწმება სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. გარდა ამისა, ყოველწლიურად ტარდება დოკუმენტური შემოწმება და ინსპექტირებაც.

თაღლითები გამოიჭირეს!

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, სხვისი ქონების მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, მხილებულ იქნა სამი წევრისგან შემდგარი ჯგუფი.

გამოძიებით დადგენილია, რომ აღნიშნული პირები, გაყალბებული, ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის გამოყენებით, თაღლითურად დაეუფლნენ ერთ-ერთი მოქალაქის კუთვნილ ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში მდებარე 3 263 კვ.მ. მიწის ნაკვეთს. ბრალდებულებმა ნაკვეთი თავის სახელზე დაარეგისტრირეს და მისი ერთი ნაწილის — 1 263 კვ.მ-ის რეალიზაცია მოახდინეს. საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დამნაშავე პირები იმ მომენტში ამხილეს, როდესაც ისინი მოტყუებით დაუფლებული მიწის ნაკვეთის მეორე ნაწილის — 2 000 კვ.მ-ის რეალიზაციას ახდენდნენ.

გამოძიების ამ ეტაპზე დაკავებულია ორი პირი, ხოლო ერთი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში დაუსწრებლად.

გამოსათხოვარი

მეუღლე მაყვალა ხუჭუა, შვილები ინგა, გია გურგენიძეები, შვილიშვილები გუკა, ირინა გურგენიძეები, ელენე, სოფო ჩაგუნავები, რძლები მარიანა ფურცელაძე, თათია მამადაშვილი, სიძე მერაბ ჩაგუნავა, შვილთაშვილები ნიტა, მარიტა გურგენიძეები, დისშვილები მიხეილ, თამუნა შუბითიძეები, ნინო ბეჟაშვილი, კახა ხელაძე, მძახლები ნოე ჩაგუნავა, მანანა, ლევან ფურცელაძეები, ქეთი, პეტა მამადაშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

გურამ გრიგოლის ძე გურგენიძის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 1, 2 VIII, 17 სთ. გამოსვენება 3 VIII, 14 სთ. მისამართი: ბარნოვის ქ. №73, I სადარბაზო.

ნოე ჩაგუნავა და მისი ოჯახის წევრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მისი მძახლის, ღვაწლმოსილი ადამიანის

გურამ გრიგოლის ძე გურგენიძის

გარდაცვალებას.

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, 9 გამოგონებისა და მრავალი რაციონალური წინადადების ავტორი, მსოფლიოში პირველი სამრეწველო-საცდელი მიწისქვეშა სატრანსპორტო საშუალების „პნევმოტრანსპორტის“ სამშენებლო სამმართველოს უფროსი

გურამ გრიგოლის ძე გურგენიძე

მთელი ცხოვრების მანძილზე თესავდა სიყვარულსა და სიკეთეს. იყო საუკეთესო მეგობარი, მეუღლე, მამა და ბაბუა.

თანაგრძნობას ვუცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

ამხანაგების ჯგუფი

სანთელი

დიაბეტიან ბავშვთა დაცვის ასოციაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ექიმი ენდოკრინოლოგი, ასოციაციის საპატიო წევრი, ქალბატონი

თინათინ ჩანტლაძე.

◎ ყურადღება

არ უპასუხოთ პაპუა ახალ გვინეას ზარს

ბოლო რამდენიმე დღეა, სხვადასხვა მობილური კომპანიის მომხმარებლის ტელეფონზე ზარი პაპუა ახალი გვინეადან სატელეფონო ზარები ფიქსირდება.. სოციალური ქსელის მომხმარებლები მოქალაქეებს ურჩევენ არ უპასუხონ და არ გადაურეკონ აღნიშნულ კოდიან ნომრებს, რადგან დარეკვის შემთხვევაში, მათი ანგარიშიდან თანხა ჩამოიჭრება.

შავ ზღვაში ბანაობა უკვე დასაშვებია

საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, სანაპირო ზოლსა და ყველა საგუშაგოზე თეთრი ალმები აღმართა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზღვაში შესვლა უკვე უსაფრთხო და დასაშვებია. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით, შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს წყალზე მაშველების ეფექტური, ოპერატიული და მობილიზებული მუშაობის შედეგად, შავ ზღვაზე შტორმის დროს, არც ერთი ფატალური შემთხვევა არ დაფიქსირებულა.

აქტიური პროცესები აგვისტოში

გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება აგვისტოში 2-7, 10, 13-15, 19-25 და 29-31 რიცხვებშია მოსალოდნელი. ამ დღეებში გამორიცხული არ არის ციკლონებისა და ქარიშხლების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის მატება, სეისმური აქტივობისა და სოციუმში დაძაბულობის გაზრდა.

3 — მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარისა და სატურნის შეერთება. დიდია სასუნთქ ორგანოთა, ღვიძლის, სისხლის დაავადებათა წარმოშობის ალბათობა, კანისა და ლორწოვანი გარსების სიმშრალე. გამორიცხული არ არის რევმატიზმის, სახსრების, ხერხემლისა და ფეხების სნეულებათა გამძაფრება. მოერიდეთ ტრავმატიზმს, სიმძიმეთა გადატანას, ასევე საჭიროა სახსრებზე დატვირთვის შემცირება, რაციონიდან მსუყე, მძიმე საკვების გამორიცხვა, ეცადეთ ღვიძლისა და ფეხების განტვირთვას.

7 — ახალმთვარეობა, მთვარის დაბნელება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება. სავარაუდოა, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება გულისა და თავის ტკივილების წარმოშობა, არტერიული წნევის ცვლილებები და გულის არითმია, ფეხების სახსრების ტკივილები, თრომბოფლებიტის შეტევები. ეცადეთ, არ გადაღალოთ თვალები, ფეხები და ნერვული სისტემა, უარი თქვით ცხოველურ საკვებზე, თამბაქოს მოწევასა და ალკოჰოლის მოხმარებაზე. დღე უნდა გაატაროთ სტრესებისა და დიდი დატვირთვების გარეშე, მშვიდ გარემოში. განსაკუთრებით მოერიდეთ ტრავმებსა და უბედურ შემთხვევებს.

10 — თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნეპტუნის შეერთება. გამორიცხული არ არის ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობაში შეფერხებები, ფეხებში სისხლის მიმოქცევის დარღვევა, ასევე ტერფებისა და ფეხის სახსრების სნეულებათა გამძაფრება. არ არის რეკომენდებული ფეხების დაძაბვა, საჭიროა გაციების არიდება, უცხო სამკურნალო საშუალებათა მიღებისგან თავის შეკავება, დიეტის დაცვა და ღვიძლის მოფრთხილება.

13 — ვერძის თანავარსკვლავედში მთვარისა და ურანის შეერთება. მოსალოდნელია თავის, თვალების, ყურებისა და კბილების ტკივილი, ასევე უძილობა. სასურველია, ზედა კბილების მკურნალობისა და პროთეზირების, თმის გაკრეჭის, ასევე ყველა სახეობის მნიშვნელოვანი ღონისძიებების გადადება. ეცადეთ, არც ახალი საქმეები არ წამოიწყოთ. თავი აარიდეთ კონფლიქტებს, უარი თქვით აღმგზნებ საშუალებათა, ალკოჰოლიანი სასმელებისა და შოკოლადის მიღებაზე, მოერიდეთ დამწვრობებსა და ჭრილობებს. სასარგებლოა სეირნობა, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა, ბუნებაში დასვენება.

15 — მთვარის ბოლო მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები, გამორიცხული არ არის ნერვული სისტემის, ბრონქებისა და ფილტვების ქრონიკულ სნეულებათა გამძაფრება. ეცადეთ, ზომიერად იკვებოთ, დაიცავით ხელები დამწვრობებისა და ჭრილობებისგან, თავი მოარიდეთ სტრესებს, აკონტროლეთ ემოციები. ხელსაყრელი დროა წამოწყებულ საქმეთა დასამთავრებლად.

19 — ლომის თანავარსკვლავედში მთვარისა და ვენერას შეერთება. შესაძლოა, ენდოკრინულ დარღვევათა, თირკმლებისა და სისხლძარღვთა დაავადებათა წარმოშობა. აუცილებლად მოერიდეთ სიმძიმეების აწევას, ალკოჰოლის მოხმარებას, შეამცირეთ ორგანიზმზე ფიზიკური და ფსიქიკური დატვირთვა, გაუფრთხილდით გულს.

სასურველია ბოლომდე მოუფიქრებელი საქმეების, მომქანცველი მოგზაურობებისა და საპასუხისმგებლო შეხვედრების გადადება. სასარგებლოა ტანვარჯიში, ხანმოკლე გასეირნება და სრულფასოვანი ძილი.

21 — მთვარისა და მარსის შეერთება, მთვარე აღმავალ კვანძშია, მზის დაბნელება, ახალმთვარეობა. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. ახალმთვარეობა ორგანიზმის ფიზიკურ და სულიერ ძალთა საგრძნობი გამოლევის დღეა. გამორიცხული არ არის ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, საკვებით მოწამვლა. რეკომენდებულია ფიზიკური დატვირთვების შემცირება (ეს განსაკუთრებით იმათ ეხებათ, ვინც გულს უჩივის). უარი თქვით ალკოჰოლისა და მძიმე საკვების მიღებაზე, თავი მოარიდეთ სტრესებს.

22 — ქალწულის თანავარსკვლავედში მთვარისა და მერკურის შეერთება. შესაძლოა, ნერვული და კუჭ-ნაწლავთა სისტემების მუშაობის მოშლა, კუჭქვეშა ჯირკვლის ანთება, ფსიქიკურ დაავადებათა და ნერვულ აშლილობათა გამძაფრება. რეკომენდებულია სტრესებისთვის, უსიამოვნებებისა და კონფლიქტებისთვის, ზედმეტი ფიზიკური და გონებრივი დატვირთვებისთვის თავის არიდება. ასევე საჭიროა ალკოჰოლის, მძიმე და ცხოველური საკვების მიღებისგან თავის შეკავება.

25 — სასწორის თანავარსკვლავედში მთვარისა და იუპიტერის შეერთება. შესაძლოა, შეფერხებები თირკმლებისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობაში. არსებობს გაციებისა და საშარდე სისტემის ინფექციურ დაავადებათა წარმოშობის საფრთხე. რეკომენდებულია რაციონიდან ცხარე, ცხიმიანი და ტკბილი საკვების ამოღება, ალკოჰოლის მიღებისგან თავის შეკავება, ასევე გაციებისგან წელის მორიდება.

29 — მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის მერყეობა, ფილტვებისა და ღვიძლის ავადმყოფობების გაჩენა. რეკომენდებულია ტრავმატიზმისთვის, გაციებისგან, ჭარბი დატვირთვებისგან, სტრესებისგან და უსიამოვნებებისგან თავის არიდება.

30 — მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარისა და სატურნის შეერთება. მოსალდონელია საყრდენ-სამოძრაო აპარატის, ასევე ღვიძლის, ნაღვლის ბუშტისა და სასუნთქი ორგანოების დაავადებათა გამძაფრება. თავი მოარიდეთ გაციებას და გადაღლას, დაიცავით დიეტა.

გრაფიკით მინიმუმების დღეებში, კერძოდ 1, 11-სა და 27 რიცხვებში გამორიცხული არ არის ღონის გამოცლა და საერთო სისუსტე. ამ დროს რეკომენდებულია დატვირთვების შემცირება და მეტი დასვენება.

◎ სათრეველა მიზანში

ჭიტლაყნაკრავი ყვარყვარე

ვეღარ ჩამოსვეს დღემდე ვირიდან,
ვერც შეძახილით, ვერც სიჩუმითა,
ჭიტლაყნაკრავი უკრაინიდან,
პანჩურითა და პაჩანჩურითა.
და ბაქიბუქობს ამერიკიდან,
რომ პოროშენკოს მოუღებს ბოლოს,
არ თქვათ, რომ მისგან ეს გაგიკვირდათ,
თვალებში კვამლი სურს, მოგვაბოლოს.
„მე ისევ მოვალ!“ – სჯერა ყვარყვარეს,
არ იძირება!..
ყბედობს, ყვარყვარობს!
სხვაგვარ ცხოვრებას ვერც შეაყვარებ,
კედელზე ცერცვიც რომ შეაყარო.

აღარ დაბრუნდეთ!

– **ცნობა** მოვიდა!
– რა ცნობა?
– გამოდგა მიხოს „ანცობა“
და აღმა ასვლა ხანმოკლე!
ავად აყეფდნენ „ნაცები“:
„უკრაინაში „ნაცმენი“
ფიურერი გვყავს ნაცემი,
ჩვენს ბელადს წიხლი ამოჰკრეს...
თუმცაღა რაკი არ მოჰკლეს,
თუ არ ვუშველეთ მარჩენალს,
გვანანებს სახლში დარჩენას!“

P. S.

ცხრა წლის ნაგროვი ქონი გაქვთ

და მაინც ვერ თმობთ აბრუნდებს?
წადით?!
გზაც იქით გქონიათ!
ოღონდ არასდროს დაბრუნდეთ.

ალექსანდრე შენგელია
ქუთაისი-თბილისი

◎ ინტერნეტიდან



რას გაუგებ გულიას გულს?!

საქართველოს ჩრდილოეთით ერთ ყველასათვის კარგად ნაცნობ „სითბოთი და სიკეთით“ აღსავსე ქვეყანაში გასულ თვეს ყველა ჭორაობდა – ურუსთა ყველაზე პოპულარული მოდელი გულია სკოვოროდინა ცნობილ ფეხბურთელზეა გულშევარდნილი და ეს ამბავი სულ მალე საყოველთაო გახდებაო.

მიუხედავად იმისა, რომ არავინ მოუსმინა გულიას სიტყვებს: „ჩემდათავად, ვინც ფეხბურთელს ყვარობდეს, იმას არ გაუთენდეს დღე და იმას ჩამეწელოს მკერდიო“, ჭორის ქარაშოტი კვლავ გრძელდებოდა და ახლა ყველამ აღიარა, რომ ეს ამბავი საბოლოო ჯამში ჭორადვე დარჩა და მსგავსი რამ, უბრალოდ, არ ყოფილა.

გულია სკოვოროდინა ერთ-ერთი უკარება ასულია და სწორედ ამადაა მის გარშემო ყველა მამაკაცის გამოჩენა ასეთი მნიშვნელოვანი. ზოგი იმასაც იძახის, სკოვოროდინას ქალი კუნძულ ლესბოსის მკვიდრიაო, მაგრამ ბულვარულ მედიას ყველაფერი რომ დაეჯერებოდეს, გაღმაუბნელი მაყვალა ბაბილონის პრინცესა იქნებოდა...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ყველაფერი ყველაფერზე

პრინცესა დაიანას საფლავის გაძარცვა ოთხჯერ სცადეს



31 აგვისტოს 20 წელი გავა იმ ტრაგიკული დღიდან, როცა პრინცესა დაიანა თავის საქმროსთან დოდი ალ-ფაიედთან ერთად პარიზში ავტოკატასტროფას ემსხვერპლა.

უელსის პრინცესას ძმამ, ერლ სპენსერმა რადიო „ბიბისი“-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ 20 წლის განმავლობაში, მისი დის აკლდამის გატეხვა ოთხჯერ სცადეს. თუმცა საბედნიეროდ მისთვის ზიანის მიყენება ვერ შეძლეს.

პრინცესა დაიანა დაკრძალულია აკლდამაში, რომელიც მდებარეობს ელტორპის მამულში, ნორტგემპტონშირის საგრაფოში. მისი მფლობელები სპენსერების ოჯახი გახლავთ.

მისი დაკრძალვა ასეთ ადგილას განცალკევებით სწორედ იმიტომ გადაწყდა, რომ სიკვდილის შემდეგ მაინც არ შეეწუხებინათ ლედი დი. თუმცა „კეთილისმსურველებს“ რა გამოლევს ამ ქვეყნად.

ოსვენციმის მუზეუმიდან ექსპონატებს მსოფლიოს აჩვენებენ

პირველად **თავისი არსებობის ისტორიაში მემორიალური მუზეუმი აუშვიც-ბირკენაუს, სადაც მეორე მსიფლიო ომის დროს სამი საკონცენტრაციო ბანაკი არსებობდა – მსოფლიო ტურნეში მიიღებს მონაწილეობას.**

ამ „მოძრავი გამოფენის“ ორგანიზატორებს სურთ, იმ ადამიანებს აჩვენონ ჰოლოკოსტის სისასტიკე., რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო პოლონეთში ვერ მოგზაურობენ.

ოსვენციმის საგანძურს ევროპისა და ამერიკის 14 ქალაქში გამოფენენ. აქ წარმოდგენილი იქნება 600-მდე ექსპონატი. მათ შორის ის სატვირთო ვაგონი, რომლითაც ნაცისტებს ხალხი „სიკვდილის ბანაკებში“ მიყავდათ.

პირველი ქალაქი, სადაც 2018 წლის ბოლოს გამოფენა გაიმართება ესპანეთის დედაქალაქი, მადრიდი გახლავთ.

ჯორჯ ქლუნი აპირებს ფრანგულ ჟურნალს უჩივლოს

ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯორჯ ქლუნი და მისი მეუღლე ამალი აღშფოთებულები არიან ფრანგული ჟურნალის „Voice“-ის ქმედებით.

როგორც აღმოჩნდა ჟურნალმა, ქლუნების ნებართვის გარეშე დაბეჭდეს, მათი ახალშობილი ტყუპების ფოტოები.

მოხერხებულმა პაპარაცმა სურათის გადაღება მაშინ შეძლო, როცა ოჯახი იტალიაში, ტბა კომოსთან მდებარე, საკუთარ მამულში ისვენებდა.

ფოტოგრაფი გადმოძვრა ჩვენს გალავანზე ფარულად და ერთ-ერთი ხიდან ჩუმად გადაუღო ტყუპებს სურათი – აცხადებს განრისხებული მამა.

მსახიობის თქმით, ფოტოგრაფიც, სააგენტოც და თვითონ ჟურნალიც ამ საქციელის გამო სათანადოდ იქნებიან დასჯილები.

სპილომ ფოტოგრაფი ტურისტი მოკლა

ეთიოპიაში **სპილომ, რომელთანაც ერთ-ერთი ესპანელი ტურისტი ძალიან ახლოს მივიდა ფოტოს გადასაღებად, სასიკვდილო ტრავმა მიაყენა.**

ტრაგედია, რამდენიმე დღის წინ ქვეყნის ეროვნულ პარკში მოხდა. თვითმხილველთა თქმით, მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, კაცი მაინც გადავიდა მანქანიდან სურათის გადასაღებად. ამის შემდეგ კი სპილომ იგი თავისი ხორთუმით ძირს დააგდო.

კაცმა კი სასიკვდილო დაზიანებები მიიღო.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4009; ევრო - 2.8110;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1394;
100 რუბლი - 4.0362; თურქული ლირა - 0.6783;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4137;
1000 სომხური დრამი - 5.0165.

ამინდი 1 აგვისტოსთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +20 დღე +38
მთიანი რაიონები - ღამე +15, დღე +32
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +19, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +16, დღე +30
თბილისი: ღამე +23, დღე +36

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge